# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 17 აპრილი 2002 №67 (1589) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კიევში მინდორი გაუშალეს





ალექსანდრე ჩივაძის და ლეონიდ ბურიაკის მეტოქეობა სამწვრთნელო სარბიელზე გრძელდება



გუშინ კახა კალაძემ კიევში კი ივარჯიშა, მაგრამ დღეს ტრიბუნაზე იჯდება

**სერგეი კასიანოვი კიევიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

უკრაინა — საქართველოს ამხანაგური მატჩისადმი ინტერესმა მას შემდეგ უფრო იმატა, ქართველებმა თბილისში სამხრეთ აფრიკის ნაკრები რომ 4:1 დაამარცხეს.

საქართველოს უკრაინა შეგნებულად მასპინძლობს იმ სტადიონზე, რომელიც „ოლიმპიურის" მაყურებელთა მეოთხედსაც ვერ იტევს. „დინამოზე" ჩინებული და, როგორც კიევში ხშირად ამბობენ, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გაზონია. და რაკი უკრაინის მეტოქე ინდივიდუალიზმით გამორჩეული საქართველოა, თანაც მატჩი ამხანაგურია, ფედერაციამ გადაწყვიტა, შეხვედრა „დინამოზე" გაიმართოს. მატჩის ამ სტადიონზე ჩატარება სწორედ მეტოქის თამაშის მანერამ და ლამაზი ფეხბურთის ხილვის სურვილმა განაპირობა. ამას წინათ, კიევის „დინამო" დონეცკის „შახტარს" მასპინძლობდა და შეხვედრაც სწორედ „დინამოზე" შედგა. ეს მატჩი „ოლიმპიურ" სტადიონსაც აავსებდა, მაგრამ ეშხიანი თამაშის მომლოდინე „დინამოს" შემოსავალზე არც უფიქრია და დონეცკელებს „დინამოს" ხასხასა მინდორზე უმასპინძლა.

წლეულს უკრაინის ნაკრები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით პირველად სწორედ ქართველებს ეთამაშება. ეგაა, მასპინძლებს „არსენალის" მცველი ოლეგ ლუჟნი დააკლდება. სხვა რჩეული უკრაინელები კი კიევში არიან. მათ ერთად უკვე ორჯერ ივარჯიშეს. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ითამაშებს ანდრეი შევჩენკოც. მართალია, ის ტრავმის შემდეგ ჯერჯერობით სასურველ ფორმაში არ არის, მაგრამ მოედანზე მისი ყოფნა ბევრს ნიშნავს. მის გარდა ქომაგთ სერგეი ნაგორნიაკისა და სერგეი სკაჩენკოს იმედიც აქვთ. ჩვენთვის გაუგებარი კი ისაა, რატომ არ იწვევს ბურიაკი ნაკრებში მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველ ედუარდ ციხმეისტრუკს.

გუშინ უკრაინის ნაკრების მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა პრესკონფერენცია გამართა: „ოთხშაბათს ძალიან მძიმე, საინტერესო მატჩია მოსალოდნელი. საქართველო ის გუნდია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე სამხრეთ აფრიკა შესუსტებული შემადგენლობით დაამარცხა და ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყოთ. ქართველებს მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავთ, ძალიან საზიფათონი არიან ქინქლაძე და დემეტრაძე".

ლეონიდ ბურიაკმა თავშეკავებულად ილაპარაკა, თუმც ისიც პირდაპირ განაცხადა, რომ ზედიზედ ორი წაგების შემდეგ გუნდს აუცილებლად სჭირდება მოგება.

საქართველოს ნაკრებმა კი „დინამოს" სტადიონზე გუშინ დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშა. ივარჯიშა კახა კალაძემაც, თუმც როგორც გვითხრა, მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად და უკრაინასთან მატჩს ის ტრიბუნიდან ადევნებს თვალს.

**გუშინ**

**ახალგაზრდულები**

**უკრაინა 0:0 საქართველო**

# ოუენს ინგლისი შეაბეს

დღეს ევროპაში მორიგი ამხანაგობის ჟამია. საქართველო — უკრაინის მატჩი ჩვენთვის, დიახაც, საინტერესოა, მაგრამ საერთო ევროპული მასშტაბით ნაკლები გასავალი აქვს, იქ სხვა ამბები უფრო აინტერესებთ.

მაგალითად, აინტერესებთ, როგორი იქნება მაიკლ ოუენის საკაპიტნო დებიუტი, ლივერპულელმა სამკლავური ტერფმოტეხილი დევიდ ბექემისგან გადაიბარა, უფრო კი ის, ინგლისის ნაკრები როგორია უბექემოდ და როგორ შეადულაბა ჩეზარე მალდინიმ პარაგვაის ეროვნული გუნდი.

აინტერესებთ ჯოვანი ტრაპატონის ტაქტიკა, როცა „სკუადრა აძურა" პაოლო მალდინის, ფრანჩესკო ტოტის, დემეტრიო ალბერტინის, კრისტიან ვიერის და სხვა მცირე თუ დიდი ვარსკვლავის გარეშეა დარჩენილი.

აინტერესებთ გერმანიისა და არგენტინის შებმაც, ბოლოს და ბოლოს, ეს გუნდები ხომ ზედიზედ ორი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გადაჰყრია ერთმანეთს.

აინტერესებთ საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიისა თუ ნიგერიის ამბები.

აი, როგორ ითამაშებენ მალტა და აზერბაიჯანი ან ლუქსემბურგი და ლიხტენშტაინი, ვფიქრობთ, არავის აინტერესებს და გულის გასაკეთებლად ეს მაინც გვაქვს — ევროპისთვის საქართველოს ნაკრები ამათზე მეტ ყურადღებას მაინც იპყრობს.

იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდები



უბექემო ინგლისს მაიკლ ოუენი (მარჯვნივ) უკაპიტნებს

REUTERS

ამხანაგური მატჩი. ახალგაზრდულები

# უკრაინა 0:0 საქართველო

16 აპრილი. ბორისპოლი. „ბორისფენი". 3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| უკრაინა: კუსლი, ბერეზოვოვი (პროხოროვი 63), შერშუნი, სიმონენკო, კომარნიცკი, ივანსკი (ბრეჟნევი 46), დანილოვსკი, ნაკონეჩნი (გრიბანოვი 65), ბელიკი (ტ. ბაბანოვი 46), გაი, ბალაბანოვი (ნესინი 43) მწვრთნელი: ანატოლი კროშჩენკო | საქართველო: მამალაძე, უგრეხელიძე, ლაშა სალუქვაძე, წიკაძე (ზვ. ლაბაძე 85), კანდელაკი, ახალკაცი, სირაძე (ჩაჩუა 70), ხუროძე (ზაზაშვილი 83), ადამია (მოდებაძე 50), მ. ასათიანი, კვერნაძე (ახალაია 25) მწვრთნელი: ვახტანგ კოპალეიშვილი |

მსაჯი: ს. შებეკო (უკრაინა)

# უკრაინა წუწუნებს, საქართველო კმაყოფილია

**გინაძე ჩიხოშვილი ბორისპოლიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

**მატჩის** შედეგი სრულიად კანონზომიერია. მართალია, მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ ქართველთა კართან ისეთი არაფერი შექმნილა, ვთქვათ, ნაღდი მომენტი გაცუდდაო. პირიქით კი ორჯერ იყო და, რომ არა სტუმარ თავდამსხმელთა უნიათობა, უკრაინა მარცხს ვერ გადაურჩებოდა.

ქართველებმა კონტრშეტევებზე ითამაშეს და შესაძლებლობისთანავე ცდილობდნენ მეტოქის გამოჭერას. უფრო ხშირად მათი შეტევა უკრაინელთა საჯარიმოს სიახლოვეს იშლებოდა, თუმცა, როგორც ვთქვი, ორჯერ ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეს. განსაკუთრებით აღსანიშნი მეორე ტაიმის შუაში იყო, როცა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს მეკარე კუსლისთან ახლოს მარტო დარჩენილმა ასათიანმა ფეხი ააცილა და ტრიბუნაზე შეკრებილმა 3 ათასამდე ქომაგმა შვებით ამოისუნთქა.

მასპინძელთაგან ლვოვის „სკა კარპატის" 185 სანტიმეტრიანი ტარას კაბანოვი გამოირჩეოდა, რომელიც მწვრთნელმა მეორე ტაიმში ათამაშა და მასპინძელთა თამაშს მეტი სიმწვავე შეემატა. სწორედ კაბანოვი იყო მატჩის მიწურულს მიზანთან ახლოს, მაგრამ მისი თავური მამალაძეს ხელებში მიუვიდა. სხვათა შორის, მამალაძემ მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა.

შესვენების შემდეგვე ისეთი 15 წუთიანი მონაკვეთი იყო, როცა სტუმრებმა უკრაინელებს ბურთიც დაუმალეს, თუმცა, მასპინძლებს ტრიბუნიდან აღშფოთებულმა ქომაგებმა ხმა რომ მიაწვდინეს, გამოფხიზლდნენ და ბოლო ათითხუთმეტი წუთი ქართველთა კართან ნამდვილი შტურმი მოაწყვეს. გოლი კი მათ შეტევებს არ მოჰყოლია.

ნამატჩევს უკრაინელთა მწვრთნელი ანატოლი კროშჩენკო იმაზე წუწუნებდა, რომ საამატჩოდ უძლიერესი შემადგენლობა ვერ შეკრიბა, აქაოდა, კლუბები ერიდებიან ახალგაზრდულ ნაკრებში ფეხბურთელთა გაშვებასო.



მალხაზ ასათიანი

ნამატჩევს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწეს ხერგო კუტივაძეს სასტუმრო „სპორტში" დავუკავშირდით.

კუტივაძის მატჩისეული მოკლე შეფასება ასეთია:

„ერთობ კმაყოფილი ვარ ჩვენი ბიჭების ქინით და შემართებით. მათ პირნათლად შეასრულეს ჩვენი დავალება და უკომპრომისო ბრძოლა გაუმართეს მასპინძლებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ უკრაინის ამ ნაკრების ბირთვმა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ითამაშა, მაშინ შედეგითაც კმაყოფილნი უნდა ვიყოთ. მაგრამ მაინც ვთვლი, რომ მოსაგები თამაში გვქონდა. სამჯერ რეალური საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ. გასატანი მასპინძლებსაც ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი მომენტები უფრო მწვავე იყო.

თავდადებით ითამაშა დაცვამ, გამორჩევით მეკარე ზურაბ მამალაძემ. კმაყოფილი ვართ ახალაიასი. საერთოდ, ჩვენმა არჩევანმა გაამართლა, ვინც გამოვცადეთ, ყველამ დადებითად წარმოაჩინა თავი.

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

ქილი 2:2 იურდინგენი

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

ელვერსბერგი 1:1 რეგენსბურგი

## ინგლისი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები

კარლაილი 0:0 ჩელტინემი
იორკი 3:0 როვერსი

## პოლონეთი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩები

ზაგლები 0:2 ვისლა (1:2)
ლეგია 3:1 ოდრა (0:1)
ლეხი 1:3 კატოვიცე (0:1)

## შოტლანდია

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ისტ სტირლინგი 2:1 ისტ ფაიფი

## ბელგია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ბეერსხოტი 2:2 სტანდარდი

## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ჰაარლემი 0:2 ტელსტარი

## ამხანაგური მატჩები

ახალგაზრდულები

ხორვატია — ბოსნია 2:0; საფრანგეთი — იტალია 3:2; ავსტრია — ირლანდია 3:3; ნორვეგია — შვედეთი 1:2; დანია — საბერძნეთი 2:3; გერმანია — რუსეთი 2:4; ინგლისი — პორტუგალია 0:4; ესპანეთი — იუგოსლავია 2:1

# ამხანაგური მატჩები

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# ხმაურია? რუსეთია თეთრაძემ მხარი აუბა

### საფრანგეთი — რუსეთი

**კოლორის ხეობა** იქნება თუ პარიზი, რუსებისთვის სულერთია, ყველგან ხმაურით ჩადიან.

„სპარტაკში" მობურთავე დმიტრი ანანკო ეგებ გაგიგონიათ კიდეც. ეს კაცი მეორედ მიიწვიეს რუსთა ნაკრებში და, როგორც ჩანს, სიხარულისგან გვარიანად აღელდა. „ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშებაში ვარსკვლავების წინააღმდეგ მითამაშია, ასე რომ, საფრანგეთის ნაკრები ისეთი ძლიერი არაა, მისი შემეშინდეს" — აი, ასეთი რამ წამოროშა ანანკომ, „ლევერკუზენი", „სპარტა" და „ფეიენოორდი" რომ ჰყავდა შარშან სალიგო მეტოქედ მის „სპარტაკს". ასეთი „ბარგის" პატრონი მართლა ფეხების იმედად თუ იქნება ცხოვრებაში.

ისე, ანანკოს „სიბრძნე" რა მოსატანია ზოგადრუსულ განწყობასთან. პარიზში ჩასვლიდან დღემდე ჩვენ ჩრდილოელ მეზობლებს ფრანგებთან „სტად დე ფრანსზე" სამი წლის წინ მოგებული მატჩი აკერიათ პირზე. ევრო 2000-ის შესარჩევი ეტაპის ეს შეხვედრა 1999 წლის ივნისში ჩატარდა და ტანმორჩილი პანოვის წყალობით სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. სხვათა შორის, მაშინ პირველი მარცხი შეემთხვათ „სტად დე ფრანსზე" მასპინძლებს. ჰოდა, რუსების ლოგიკით, მაშინ თუ შეძლეს ფრანგთა გახედვნა, ახლაც არაფერი დაუდგებათ წინ.

თუ ლოგიკაზე მიდგა საქმე, ირლანდიასთან და მით უფრო ესტონეთთან შერცხვენილ გუნდს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან წარმატების არანაირი შანსი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი ამბიციები ფრანგებთან გამარჯვებაზე ფიქრის საფუძველს გვაძლევს — ამბობს ბორდოელი სმერტინი, რომელიც ერთადერთი რუსი ლეგიონერია, რეგულარულად რომ უწევს თამაში.

პარიზში ოლეგ რომანცევმა 22 ფეხბურთელი იახლა. ამათგან ორი დებიუტანტია — მეკარე დმიტრი გონჩაროვი და ნახევარმცველი სერგეი იგნაშევიჩი. გამოძახებულთა შორისაა ომარ თეთრაძეც, რომელსაც თითქმის ორწლიანი სანაკრებო პაუზა ჰქონდა. ჩვენებურ ომარს მხარი აქვს დაშავებული, მაგრამ სანაკრებო მიწვევას ისე გაუხარებია, თავს არ დავზოგავო, ამბობს.

გუშინდლამდე რუსები 18 წლის სიჩევის ტრავმას დარდობდნენ. ახალგაზრდა სპარტაკელმა „ტორპედოსთან" მატჩში ტერფი დაიზიანა, მაგრამ ბოლო ცნობით, ექიმები საგანგაშოს უკვე ვეღარაფერს ხედავენ და რუსული ფეხბურთის ხვალინდელი დღე დღეს, სავარაუდოდ, ითამაშებს.

ცოტა რამ ფრანგებზეც ვთქვათ. როჟე ლემერის გუნდი საგანგებოდ ემზადება რუსებთან სათამაშოდ. გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ საფრანგეთ — რუსეთის ომში თავისიანებს ფაბიენ ბარტეზი ვერ დაიცავს. ბარტეზი ორშაბათის ვარჯიშზე დაშავდა, თუმცა ექიმები ვარაუდობდნენ, რომ ოთხშაბათისთვის ხოტორა მანჩესტერელი მწყობრში იქნებოდა, მაგრამ ლემერმა აღარ გარისკა და მის ნაცვლად გრეგორი კუპე შეიყვანა 22 კაციან განაცხადში. ძირითად შემადგენლობაში კი მასპინძელთა კარს ბორდოელი ულრიხ რამე დაიცავს.

ბოლო მომენტში ლემერმა „ფულემის" ფორვარდი სტივ მარლეც იხმო. ნაკრებში შვიდი მატჩის ჩამტარებელი და ბოლო შეხვედრაში შოტლანდიასთან გოლის შემგდები მარლე, სავარაუდოდ, დავიდ ტრეზეგეს შეცვლის მატჩის მსვლელობისას.

ბოლოს ფრანგთათვის სამალარიჩო ერთ ამბავსაც გაცნობებთ: დღეს ბევრი „მამალი" გადაურჩება იური კოვტუნის „მკვლელ ფეხს". რუს „ჯალათს" სხვათა ცოდვამ უწია და ორკვირიანი შეჯიბრების ტოლფასი ტრავმა მიიღო ჩემპიონატის მატჩში.

**ბაატა ძგანტალიანი**



ფრანგთა მწვრთნელი როჟე ლემერი ემანუელ პეტის რუსთა წინააღმდეგ აგულიანებს

# მაკარტის დიპლომატია

## ამერიკული სულისკვეთება ციფრებში

### ირლანდია — აშშ

**ფიფას** რეიტინგს თუ ვენდობით, ირლანდია — აშშ-ის მატჩში ფავორიტები იანკები არიან. აშშ რეიტინგში მეცამეტეა, ირლანდია მეთვრამეტე, მაგრამ ნიშნავს ციფრები რამეს ბოლო დროს თავზეხელაღებულ კუნძულელთათვის? ცხადია, თუ ფავორიტობაზე მიდგება საქმე, ასეთად მიკ მაკარტის ჯეელები უნდა მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ შინ თამაშობენ, სადაც აგერ, უკვე ორი წელია, არ დამარცხებულან. მაგრამ „სამყურათა" მესაჭე ერთობ ფრთხილობს: „ამერიკელები ინდივიდუალური ოსტატობით არ გამოირჩევიან, მაგრამ გასაოცარია მათი ორგანიზებულობა და გუნდური სულისკვეთება. აქედან გამომდინარე, ურთულესი მატჩი გველის. ბოლოსდაბოლოს სტუმრები ჩვენზე წინ არიან სარეიტინგო ცხრილში", ამბობს დიპლომატი მაკარტი.

ამერიკელები ოპტიმალური შემადგენლობით ჩაფრინდნენ დუბლინში, მასპინძლებს კი ჯეილა როი კინი არ ეყოლებათ — მანჩესტერელი ტრავმირებულია. ამიტომაცაა, ირლანდიის ქოვენტრელი გარი ბრინი რომ უკაპიტნებს.

იანკებთან მატჩში დებიუტი ექნება 22 წლის სელტიკელ კოლინ ჰელის. სავარაუდოდ, მაკარტი მას სასტარტო შემადგენლობაშივე გამოსცდის.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ირლანდიელთა თავკაცს არ დაუმალავს, რომ შეტევაში დემიენ დაფის და რობი კინის იმედად იქნება. ამ ორს უდიდესი პოტენციალი აქვს და საცოდაობა იქნება, ერთად თავის გამოჩენის შანსი რომ არ მივცეო, თქვა მაკარტიმ.

**ბაატა ძგანტალიანი**



მიკ მაკარტი

# ამხანაგური მატჩები

## იტალია — ურუგვაი

# შანსიანი ბიჭები

## იტალია სერია A-ს წინააღმდეგ



დემეტრიო ალბერტინის ოჯახისთვის მეტი დრო დარჩება

**„სკუადრა აძურა“** „სან სიროზე“ დაუხვდება ურუგვაის ნაკრებს და ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ გვარიანი ბურთაობა გაჩაღდეს.

საზოგადოდ, იტალიელ ფეხბურთელებს ამხანაგური მატჩები გულზე არ ეხატებათ. გავიხსენოთ წინა ორი შეხვედრა — ამერიკასთან და ინგლისთან და ამაში ადვილად დარწმუნდებით. აკი ჯოვანი ტრაპატონიც გამუდმებით წუწუნებს, ამხანაგური მატჩებისას ჩემს ფეხბურთელებს სირბილი ეზარებათო. დონ ტრაპმ კი იცის, რასაც ამბობს.

ჰოდა, თუ ასეა, პირველ და მეორე აბზაცებში გამოთქმულ მოსაზრებებს შორის დიდი შეუსაბამობაა. თუმცა პირველ აბზაცში მხოლოდ ის ვთქვით, დღეს მილანის „სან სიროზე“ ერთ კონკრეტულ მატჩში გაჩაღდება გვარიანი ბურთაობაო და ამ მოსაზრების განზოგადება არც გვიფიქრია.

ახლა დავასაბუთოთ: დღეს ჯოვანი ტრაპატონის განკარგულებაში არ იქნებიან პაოლო მალდინი, ფრანჩესკო ტოტი და კრისტიან ვიერი, რომელთაც ტრავმები აწუხებთ. ამასთანავე, მოედანზე შესაძლოა გამოჩნდნენ, მაგრამ მთლად ჯანმრთელად ვერ არიან კრისტიანო დონი, მარკო დელვეკიო და ფილიპო ინძაგი. მოგეხსენებათ, ეს ხალხი „სკუადრა აძურასთვის“ ძალიან ბევრს ნიშნავს და მათ არყოფნაში მწვრთნელს ისეთი ფეხბურთელების გაყვანა მოუხდება, რომლებზეც ფსონს ჩვეულებრივ არ ჩადის ხოლმე. ისიც გავიხსენოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე თვენახევარზე ნაკლები დარჩა და ადვილი მისახვედრია, ჩამოთვლილ ტრავმირებულ ფეხბურთელთა შემცვლელები თავს დადებენ, რათა ტრაპატონიმ ისინი კორეა-იაპონიაში წაიყვანოს.

მეორე მხრივ, ურუგვაელ ფეხბურთელთა ნაწილი სწორედ სერია A-ს კლუბებში ირჯება და რაკი ამ თამაშს ყველა იტალიელი მწვრთნელი მიადევნებს თვალყურს, მათაც ყოჩაღობა მართებთ.

მოკლედ, ასეა და თუ ვერ იყოჩაღებენ, ანუ ტრაპატონის სიტყვებით, „სირბილი დაეზარებათ“, საკუთარ თავს დააბრალონ.

„სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ფეხბურთელი გვაკლია, მაგრამ სათადარიგოთათვის ეს საუკეთესო შანსია“ — ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება დაადასტურა ტრაპატონიმაც. აქვე დავძინოთ, რომ დღევანდელი მატჩი ბოლო შანსი იქნება ლაციოელი სტეფანო ფიორესთვის, რომელიც წინა ორ ამხანაგურ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამს ხეხავდა.

დღევანდელი მატჩი შანსია მილანელი მასიმო ამბროზინისთვისაც, რომელიც თვრამეტი თვის წინ იტალიის ახალგაზრდული ნაკრებიდან „სკუადრა აძურაში“ მიიწვიეს, მერე კი, ვაგლახ, ტრავმებმა დარია ხელი.

აი, ამბროზინის თანაგუნდელ დემეტრიო ალბერტინის კი აღარაფერი ეშველება — აქილევსის მუსი სწორედ რომ „აქილევსის ქუსლად“ ექცა და ორი-სამი თვე ექიმების მისახედი შეიქნა. ჰოდა, რაკი მუნდიალამდე თვენახევარზე ნაკლებია დარჩენილი, ალბერტინი თავის ნაკრებს ტელევიზორთან მჯდომი, ან საუკეთესო ვარიანტში ტრიბუნიდან თუ უქომაგებს. და ისევ შანსებზე: ალბერტინის ტრავმა ინტერელებისთვის, კრისტიანო ძანეტისთვის და ლუიჯი დი ბიაჯოსთვის ნაკრებშიც, ნახევარდაცვის ცენტრში შეწყვილების შანსია. ხოლო კრისტიან ვიერის არყოფნა (ის უკვე მეორე სანაკრებო მატჩს ტოვებს) პარმელ მარკო დი ვაიოს აძლევს სასტარტო შემადგენლობაში ყოფნის შანსს.

მოგეხსენებათ, ჯოვანი ტრაპატონი ორი თავდამსხმელით ამჯობინებს თამაშს, რომლებსაც გამთამაშებელი ფრანჩესკო ტოტი ამარაგებს პასებით. ტოტის არყოფნაში კი, შესაძლოა, თავდამსხმელთა უკან ალესანდრო დელ პიერომ ითამაშოს. „ეს ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია — თქვა ამის თაობაზე ტრაპატონიმ — ტოტის ფუნქციები ეგებ სტეფანო ფიორეს დავაკისრო“.

და, როგორც იქნა, ტრაპატონი საქმეში გამოცდის ალესანდრო ნესტა — ფაბიო კანავაროს დაცვით წყვილს.

იტალიელებს კი გამკლავება მოუხდებათ ინტერელ ალვარო რეკობასთან, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება და ლეჩელ ერნესტო ჩევანტონთან, ვინაც ამ უქმეებზე „კიევოს“ ორი გოლი გაუტანა. ურუგვაელთა სხვა „იტალიელები“ კი არიან — პერუჯელი ფაბიან ონილი, ვენეციელი ფედერიკო მაგალიანესი და რომაელი ჯანი გიგუ.

**გიორგი დარჯანია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იტალია:** ჯანლუიჯი ბუფონი, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, დანიელე ბონერა, კრისტიან პანუჩი, ლუიჯი დი ბიაჯო, მასიმო ამბროზინი, სტეფანო ფიორე, ჯანლუკა ძამბროტა, ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი

**ურუგვაი:** ფაბიან კარინი, გუსტავო ტაისი, ალესანდრო ლემბო, პაოლო მონტერო, დარიო როდრიგესი, ფაბიან ონილი, ჯანი გიგუ, ფედერიკო მაგალიანესი, ალვარო რეკობა, დარიო სილვა, ერნესტო ჩევანტონი

## ინგლისი — პარაგვაი

# 22 წლის კაპიტანი

**და ვინ მოირგო** ინგლისის ნაკრების კაპიტნის სამკლავური დევიდ ბექჰემის არყოფნაში? — ყმაწვილმა მაიკლ ოუენმა. მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა გუნდის ლიდერად 22 წლის ფეხბურთელის ქცევა გადაწყვიტა. დევიდ ბექჰემი კი, მოგეხსენებათ, ტერფის ძვლის მოტეხილობის გამო დააკლდება ინგლისის ნაკრებს, არამცთუ პარაგვაის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში, არამედ, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატზეც. თავიდან ამბობდნენ, ახალი კაპიტანი დევიდ სიმენი, გარი ნევილი ან გარეთ საუთგეიტი იქნებაო, თუმცა ერიკსონი „ოქროს ბიჭუნას“ ენდო.

თუმცა კაპიტნის ვინაობა მთავარი საკითხი არ არის — დღეს შვედი მწვრთნელი საბოლოო გამოცდას უწყობს იმ ფეხბურთელებს, ვინც კორეა-იაპონიაში უნდა იაზლოს. გუნდის ძირითადი ბირთვი მან ათიოდე დღის წინ გამოაცხადა და დღეს ლივერპულის „ენფილდზე“ საბოლოოდ უნდა დარწმუნდეს არჩევნის სისწორეში.

პარაგვაის ნაკრების წინააღმდეგ ინგლისელთა შემადგენლობას კარიდან მოვყვეთ, სადაც წესით და რიგით, დევიდ სიმენი უნდა ჩადგეს, ეროვნული გუნდის ყველაზე მხცოვანი წევრი.

დაცვის ხაზში თავიდანვე არ იქნებიან რიო ფერდინანდი და სოლ კემპბელი, ასევე არ ვარაუდობენ ეშლი კოულის გამოჩენას, მარცხენა ფლანგზე მის ნაცვლად, ალბათ, უეინ ბრიჯი ითამაშებს. დაცვის ცენტრს მარტინ კიოუნი და გარეთ საუთგეიტი გაამაგრებენ, ხოლო მარჯვენა ფლანგზე გარი ნევილს გაამწესებენ.

სასტარტო შემადგენლობაში ოთხი ნახევარმცველის გამოჩენაა სავარაუდო — კირონ დაიერის, სტივენ ჯერარდის, პოლ სქოულზისა და ოუენ პარგრივსისა. პარაგვაელთა კარს კი ორი ფორვარდი შეუტევს, ამათგან ერთი კაპიტანი მაიკლ ოუენი, ხოლო მეორე მისი ყოფილი თანაკლუბელი, ახლა კი ლიდსელი რობი ფაულერი იქნება. რაც შეეხება სათადარიგოთა სკამზე მსხდომ თავდამსხმელებს, ლივერპულელი ემილ ჰესკი და ტოტენჰემელი ტედი შერინგემი, ალბათ, შეცვლაზე შევლენ. და საერთოდ, სვენ გორან ერიკსონი დღევანდელ მატჩში ბევრ ფეხბურთელს გამოცდის. მაგალითად, წინა ამხანაგურ შეხვედრაში, იტალიასთან, შვიდმა ოცდაორი ფეხბურთელი ათამაშა.

პარაგვაის ნაკრებს კი, რომელსაც იტალიელი მწვრთნელი ჩეზარე მალდინი უდგას სათავეში და რომელიც ასევე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამზადისშია, ნახევარდაცვის ლიდერი რობერტო აკუნია გამოაკლდა. მან უქმეებზე ტრავმა მიიღო. ასევე დაშავებულია მეკარე, კაპიტანი და გუნდის თილისმა ხოსე ლუის ჩილავერტი. სხვა მოთამაშეები ჩეზარე მალდინის სრულ განკარგულებაში არიან. ჰო, მალდინიმ მცველი რიკარდო როხასიც გამოიძახა, მაგრამ „რივერ პლეიტის“ ფეხბურთელმა რატომღაც საერთოდ იუარა ეროვნულ გუნდში თამაში.

**ნიკა შუბლაძე**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინგლისი:** დევიდ სიმენი, უეინ ბრიჯი, გარეთ საუთგეიტი, მარტინ კიოუნი, გარი ნევილი, კირონ დაიერი, სტივენ ჯერარდი, პოლ სქოულზი, ოუენ ჰარგრივსი, რობი ფაულერი, მაიკლ ოუენი

**პარაგვაი:** რიკარდო ტავარელი, ფრანსისკო არსე, კარლოს გამარა, ხულიო აიალა, დენის კანისა, ესტანისლაო სტრუვაი, კარლოს ბონეტი, ვიქტორ კინტანა, გუსტავო მორინიგო, როკე სანტა კრუზი, ხოსე კარდოზო



სვენ გორან ერიქსონმა მაიკლ ოუენს კაპიტნის სამკლავური საჩუქრად გადასცა

## გერმანია — არგენტინა

# პროფილაქტიკა აზიური ვირუსებისგან

## იცხეთ წიწაკა დაიმლერშტადიონზე!



მარტინ მაქსს (მარცხნივ) ნაკრები ქრისტეს ასაკში ღირსებს

**არ არსებობს** ქვეყნად ძალა, მექსიკა 86-ის ფინალი რომ დაავიწყოს კაცს. შტუტგარტში დღეს ოღონ ამხანაგური მატჩი კია, მაგრამ 1986 წლის მეხიკო ხომ მექსიკური წიწაკასავით მწარედ ახსოვს გერმანიას — როგორი საქმეა, ფინალს 0:2 აგებდე, მერე გაათანაბრო და ბოლო წუთზე, მაინც გადაგიჭირონ ყანყრატო.

სხვათა შორის, გერმანიის ახლანდელი თავკაცი რუდი ფიოლერი იმ ლეგენდარული ფინალის მონაწილეა და ანგარიშიც სწორედ მან გაათანაბრა თავურით.

ფიოლერის გერმანია დღეს მუნდიალის ფავორიტად არ მოიაზრება, არგენტინა კი პირიქით. თუ რატომ არის ასეთი ტენდენცია, ამაზე ლაპარაკს ახლა არ მოვყვებით — მაგრამ გერმანია მაინც გერმანიაა და თანაც დღეს შინ, შტუტგარტში თამაშობს.

ბუნდესნაკრებს „ტოტენჰემის“ მარცხენაფლანგელი კრისტიან ციგე არ უყურებს. მან ბოლო დროს სულაც კაპიტნის სამკლავური მოირგო არწივიან მაისურაზე, მაგრამ ტერფის ტრავმის გამო არგენტინასთან მატჩს გააცდენს. 30 წლის ციგეს სერიოზული არაფერი სჭირს, ორ კვირაში დაუბრუნდება მინდორს.

ციგეს გარდა შეუძლოდ არიან და დღეს ვერ ითამაშებენ იორგ ჰაინრიხი, კრისტიან ვიორნსი, ოლივერ ნოივილი და მარკო ბოდე.

სამაგიეროდ, ფიოლერმა ნაკრებში პირველად მიიწვია „მიუნხენ 1860“-ის შემტევი მარტინ მაქსი. ეს 33 წლის ფორვარდი ახლა 16 გოლით ლიდერობს ბუნდესლიგის ბომბარდირთა სიას. შარშანწინდელ სეზონში გახდა კიდეც ბუნდესლიგის საუკეთესო სნაიპერი, მაგრამ ნაკრები აქამდე არასდროს ღირსებია.

...დაბოლმილია, სისხლი ყელში აქვს მომდგარი და ბრაზისგან კიდევ რა მოსდის, ღმერთმა უწყის, გაბრიელ ბატისტუტას. სერია A-ს ბოლო ტურში მას ხომ ფაბიო კანავარომ სახეში ფეხი უთავაზა და გონებაც დააკარგვინა. ბატისტუტა, ცხადია, შეცვალეს. ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა, მაგრამ დღეს ბატისტუტა თამაშს ვერ შეძლებს და ეს არც მარსელო ბიელსას დაუძალებია.

არადა, გაბრიელ ომარ ბატისტუტამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა ნაკრებში, როცა შესარჩევ ციკლში პარაგვაის გაუტანა (2:2).

ნაკრებში მისი კონკურენტი და შეიძლება ითქვას, ადგილის წამრთმევი ერნარ კრესპო გახლდათ, რომელიც ახლა ტრავმირებულია.

გუშინ ბატისტუტას დედისთვის რადიოინტერვიუ ჩამოურთმევიათ — აი, რა უთქვამს ქალბატონ გლორიას:

„ამ დილით გაბრიელი ძალიან გულმოსული გახლდათ. ის ხომ ოთხშაბათს ვერ ითამაშებს, მაგრამ გვითხრა, ნუ ინერვიულებთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს კვლავაც ვაპირებო. მას მართლაც ძალიან უნდა კორეა-იაპონიაში თამაში, რადგან ეს მსოფლიოს ჩემპიონატი მისთვის, როგორც ჩანს, ბოლო იქნება. ჩემი შვილი ახლა თავს ნორმალურად გრძნობს, რაც ძალიან მამშვიდებს იმის შემდეგ, რაც კვირას „პარმასთან“ მატჩში მოხდა. გაბრიელი ახლა სახლშია და ჯანზეც არის, მიუხედავად იმისა, რომ ტუჩზე ჭრილობა აქვს“.

ტრავმირებულთა სიაში არიან ხუან სებასტიან ვერონი და რობერტო აიალა.

ყველაფერმა ამან მორიგი შანსი მისცა 20 წლის ხავიერ სავიოლას, რათა ბიელსა მოხიბლოს და შორეულ აღმოსავლეთში წააყვანინოს თავი. სავიოლამ პრიმერადივიზიონის ბოლო ხუთ მატჩში ოთხჯერ გაიტანა „ბარსელონასთვის“, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ერთი ბურთის შეგდება „პანათინაიკოსთანაც“ შეძლო.

„ბარსელონას“ თავკაც კარლოს რექსაჩს ქათინაურები არ დაუშურებია ჯეელი ვარსკვლავისთვის: „ის დიდი ფეხბურთელი უკვე მაშინ იყო, სანამ „ბარსელონაში“ გადმოვიდოდა. ჩვენ ვიცოდით, რომ სავიოლა მაღალი დონის მოთამაშე იყო, მაგრამ ამავე დროს ის იძულებული შეიქნა, ეს ევროპაშიც ეჩვენებინა. ახლა მან თავის გამოჩენა შეძლო და გამოცდა გაიარა“.

სიტყვა თვით სავიოლასაც ერგო: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბოლო თამაშებში გოლები გამაქვს. მაგრამ ვიცი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე სრულყოფილი ფეხბურთელი ვარ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი“.

სწავლა და ამხანაგობა კაცმა რომ თქვას ახლო ცნებებია. ასწავლის კი ფიოლერის გერმანია სავიოლას და არგენტინას, შტუტგარტის „დაიმლერშტადიონზე“ გამოჩნდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გერმანია:** ოლივერ კანი (ან იენს ლემანი), კრისტოფ მეცელდერი, იენს ნოვოტნი, თომას ლინკე, ტორსტენ ფრინგსი, დიტმარ ჰამანი, კარსტენ რამელო, იორგ ბიომე, მიხაელ ბალაკი, მიროსლავ კლოზე, ოლივერ ბირჰოფი

**არგენტინა:** ხერმან ბურგოსი, მაურისიო პოჩეტინო, ვალტერ სამუელი, ხოსე ანტონიო ჩამოტა, ხუან პაბლო სორინი, დიეგო სიმეონე, პაბლო აიმარი, ხავიერ ძანეტი, კილი გონსალესი, კლაუდიო ლოპესი, ხავიერ სავიოლა

# ამხანაგური მატჩები

## ჩრდ. ირლანდია — ესპანეთი

# თქვენი ფეხები ესპანეთს სჭირდება



რაულმა (№7) და მენდიეტამ ხელი ხელს დაჰკრეს

**ესპანეთის** ნაკრების მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო ეროვნული გუნდის ყველა კანდიდატს მოუწოდებს, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილ დროში საკლუბო ინტერესს მაინცდამაინც თავს ნუ შეაკლავენ და იმაზე იზრუნონ, რომ კორეა-იაპონიაში ყველა ჯანმრთელი გაემგზავროს. „მთავარი ესპანეთის ნაკრებია, ხოლო შემდეგ კლუბი" — ბრძანებს კამაჩო და ამით კანდიდატთა უმრავლესობას მეტად თავსატეხ ვითარებაში აგდებს.

კამაჩოს განცხადების საფუძველი ნათელია და მაგალითად დევიდ ბექჰემის ტრავმას დაგისახელებთ. მეორეს მხრივ, რა ქნას თუნდაც რაულმა, რომელიც მადრიდის „რეალთან" ერთად ესპანეთის ჩემპიონობისა და ჩემპიონთა თასისთვის იბრძვის, თუ ახლა კამაჩოს მოწოდებას ყურს უგდებს, მაშინ დარჩენილ თვენახევარში „სამეფო კლუბზე" და მის ამბიციებზე ხელი უნდა ჩაიქნიოს. ასეთ საგონებელშია ჩავარდნილი ბევრი სხვა რეალელი, ბარსელონელი, ვალენსიელი და დეპორტიველი, რომელთა გუნდებს დარჩენილ სეზონში მისია ჯერ არ შეუსრულებიათ, მეორეს მხრივ კი სწორედ ამ ოთხი კლუბის მოთამაშეებისგან იკვრება ესპანეთის ნაკრების ძირითადი ბირთვი.

ხოსე ანტონიო კამაჩოს ძალიან აფიქრებს ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სანაკრებო შეჯიბრების დაწყებამდე ესპანეთის ნაკრები ფავორიტია, ამ გუნდს კი კარგა ხანია არაფერი მოუგია და, ცხადია, მწვრთნელს არაფერში აწყობს, რომ ამ ზაფხულშიც იგივე განმეორდეს. „თამაშის დაწყებამდე თეორიულად ნებისმიერი მეტოქის დაჯაბნა შეგვიძლია, თუმცა მოედანზე გადამწყვეტ მომენტში ვმარცხდებით. ეს არის მიზეზი, რომ მსოფლიოს ჩემპიონები არასდროს გავმხდარვართ" — ასეთ თავისდასამწუხარო დასკვნამდე მივიდა ესპანეთის ნაკრების პირველი პირი და ასე პესიმიზმმორეული განწყობით ჩაიყვანა გუნდი ბელფასტში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე უკანასკნელ საკონტროლო მატჩში ჩრდილოეთ ირლანდიას უნდა გააჯიბროს.

კამაჩოს მატჩისწინა განცხადებებში ოპტიმიზმი მაინც იგრძნობა, აი, მაგალითად: „ჩრდილოეთ ირლანდია ბოლომდე მებრძოლი გუნდია, ისევე, როგორც სლოვენია (მოგეხსენებათ, მსოფლიოს პირველობაზე პირველი მატჩი ესპანელებს სწორედ სლოვენიასთან უწევთ) და მსურს, ჩემი ბიჭები თავდადებულ მეტოქესთან ბრძოლას შეეჩვიონ. თუ ამას მოვახერხებთ, მაშინ წარმატების შანსიც გვაქვს".

კამაჩომ ცოტა გასაკვირი გადაწყვეტილება მიიღო, ნაკრებში გაისკა მენდიეტა მიიწვია და, როგორც ვარაუდობენ, შეხვედრის უმეტეს ნაწილს ათამაშებს. სხვა შემთხვევაში მენდიეტას ეროვნულ გუნდში მიწვევა, ცხადია, არავის გაუკვირდებოდა, თუმცა ახლა ვითარება ისეთია, რომ ბასკ ნახევარმცველს „ლაციოში" თითქმის სეზონი გაუცდა და კარგა ხანია, სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა. კამაჩომ იკერ კასილიასიც გამოიძახა, ამ უკანასკნელმა კი „რეალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ცოტა ხნის წინ მეორე მეკარე სესარ სანჩესს გადაულოცა. ასე რომ, ოპტიმალურ ფორმაში არც ახალგაზრდა გოლკიპერი გახლავთ. წესით კასილიასი დღეს ესპანელთა კარში თავიდანვე უნდა ჩადგეს.

კამაჩოს დიდი იმედი აქვს სამივე ფორვარდის — ორი რეალელის, რაულისა და მორიენტესის, აგრეთვე დეპორტივოელი დიეგო ტრისტანის. თუმცა დღეს, ალბათ, პირველი და მესამე გამოჩნდებიან ძირითადში. ასევე სამი ნომინალური მცველის, მიგელ ანხელ ნადალის, ფერნანდო იეროსა და კარლეს პუიოლის თამაშია თავიდანვე ნავარაუდევი, დარჩენილი ხუთი კი შუახაზს გაამაგრებს.

**ნიკა შუბლაძე**

**სავარაუდო შემადგენლობა**

**ესპანეთი:** იკერ კასილიასი, კარლეს პუიოლი, ფერნანდო იერო, მიგელ ანხელ ნადალი, გუსტავო ხუანფრანი, გაისკა მენდიეტა, რუბენ ბარახა, ხუან კარლოს ვალერონი, ხავი ერნანდესი, რაული, დიეგო ტრისტანი

## პორტუგალია — ბრაზილია

# ტოპმიოლერს კაკაუ მოუნდა



რომარიო

**დღეს** პორტუგალია ბრაზილიას ამხანაგურად გაეჯიბრება. ეს ის პორტუგალიაა, ამას წინათ ფინეთთან შინ 1:4 რომ წააგო. მაშინ პორტუგალიელებს ლუიშ ფიგუ და მანუელ რუი კოშტა აკლდათ. მილანელი რუი კოშტა ვერც ამჯერად ითამაშებს, სამაგიეროდ, ფიგუ შეძლებს ბურთის გაგორებას. პორტუგალიელთა მწვრთნელი ანტონიუ ოლივეირა კი იმედიანადაა: „ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია. ბრაზილიის ნაკრები, მოგეხსენებათ, რასაც წარმოადგენს, ამიტომ მასთან შეხვედრაში კარგად გამოჩნდება ჩვენი გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები. იმედი მაქვს, მოედანს თავაწეულნი დავტოვებთ".

ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა კი თქვა: „მატჩამდე, მადრიდში, ლუიშ ფიგუ მეგობრულად გავაფრთხილე. თუ იგი მარჯვენა ფლანგზე ითამაშებს, მაშინ ჩემი მხრიდან ბევრი პრობლემა შეექმნება".

ბრაზილიაში კი ბოლო დღეებია რონალდოზე ლაპარაკობენ. მას მერე, რაც სერია A-ს ბოლო ტურში „კიევომ" ორი გადამწყვეტი გოლი გაუტანა „ბრეშას", სამბას ქვეყანაში გაზეთები მისი ქებით ვერ ძღებიან: „რონალდო ცოცხალია, ის დაბრუნდა, რითაც ბრაზილიას უდიდესი სიხარული მიანიჭა. იგი ჩვენი ნაკრების მარგალიტია" — აი, ასეთი და ამის მსგავსი ეპითეტები უძღვნეს რონალდოს ბრაზილიაში.

რონალდო კი დაბრუნდა, მაგრამ ლუიშ ფელიპე სკოლარი თავდასხმის ხაზს მაინც უჩივის: „დაცვის ხაზი და ნახევარდაცვა აღარ მაღელვებს, ყველაფერი რიგზეა. ახლა ერთადერთ პრობლემად თავდამსხმელები მრჩებიან. წინა ხაზზე რივალდო, რონალდინიო და რონალდო მინდა ვათამაშო, ვნახოთ, რა გამოვა".

რომარიოზე ლაპარაკი კვლავაც ამოუწურავ თემად რჩება. მწვრთნელმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაწყვიტა, მისი ნაკრებიდან მოკვეთა. არადა, რომარიოს ბრაზილიის პრეზიდენტის შემდეგ (რაზეც უკვე ვწერდით) ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდუ ტეიშეირამაც წაშველა სიტყვა. მან სკოლარის წერილიც მისწერა: „არ მახსოვს, რომარიოს შესახებ რაიმე ცუდი ინფორმაცია მომსვლოდეს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ იწვევთ მას ნაკრებში" — აი, ასეთი მხარდამჭერა აქვს ბრაზილიაში „რომიკოს", მაგრამ რად გინდა, „დიდი ფილი" დიდ ვირზე შეჯდა. რომარიოს ნაცვლად მან ფლუმინენსელ პაულუ სეზარს უხმო.

როგორც ცნობილია, ბრაზილიის ნაკრები სამსოფლიოსჩემპიონატოდ საბოლოოდ 11 მაისს შეიკრიბება. ამ დღეს კი ლევერკუზენის „ბაიერს" გერმანიის თასის ფინალი აქვს სათამაშო. ჰოდა, „ლევერკუზენის" ბრაზილიელ ლუსიოს სკოლარისგან დროებით დასახსნელად, გერმანული გუნდის მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა ლისაბონს მიაშურა. იქ ტოპმიოლერი სკოლარის შეხვდა და სთხოვა, ლუსიო 11 მაისისთვის დაითმეო. კლაუს ტოპმიოლერმა ისიც თქვა, „ზანკტ პაულის" ფეხბურთელი კაკაუ ძალიან მომწონს და ეგებ როგორმე ჩემთან გადავიყვანოო. კაკაუ ბრაზილიელია და პორტუგალიელებთან მატჩისთვის გამოიძახეს კიდეც.

ამასობაში ხმა ამოიღეს „ბარსელონას" მესვეურებმაც. მოგეხსენებათ, რივალდომ სულ ახლახან მოიშუშა ტრავმა. „ბარსას" ბოსებმა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელს სთხოვეს, ეგებ რივალდო არ გამოიძახოო. აქედან რაც გამოვიდა, სავარაუდო შემადგენლობაში იხილეთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუგალია:** რიკარდუ პერეირა, აბელ შავიერი, ფერნანდუ კოუტუ, ჟორჟე კოშტა, რუი ჟორჟე, არმანდუ პეტი, პაულუ სოუზა, სერჟიუ კონსეისაუ, ლუიშ ფიგუ, ჟოაუ პინტუ, პედრუ პაულეტა

**ბრაზილია:** მარკოსი, ანდერსონ პოლგა, ლუსიო, როკე ჟუნიორი, კაფუ, ჟილბერტო სილვა, ემერსონ ფერეირა, რობერტო კარლოსი, რივალდო, რონალდო, რონალდინიო

## შოტლანდია — ნიგერია

# ბერტი ფოგთსმა მამაცი გულები ახალგაზრდა გულებად აქცია

**შოტლანდიის** ნაკრები, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმაა დარჩენილი, კორეა-იაპონიაში გასამგზავრებლად გამზადებულ ნიგერიას აბერდინში მასპინძლობს. თუმცა მასპინძლები სტუმრებზე არანაკლები გულისყურით ეკიდებიან დღევანდელ მატჩს, ბოლოს და ბოლოს, ერთი თვის წინ საფრანგეთის ნაკრებთან ნაჭამი სირცხვილი ხომ მაინც უნდა ჩამოირეცხონ. გეხსომებათ, ბერტი ფოგთსის შეგირდები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან 0:5 განადგურდნენ.

შოტლანდიელთა გერმანელი დამრიგებელი კი ძალიან მოწადინებულია, ეს მისთვის პირველი საშინაო მატჩია, რაც ამ პოსტზე დაინიშნა. აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთო — ბრძანებს იგი, თუმც იქვე დასძენს, თამაში ძალიან რთული იქნებაო.

„ნიგერია აფრიკის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. თან ეს მატჩი სტუმრებისთვისაც პრინციპულია, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ გენერალურ რეპეტიციას გადიან. მათ მაღალი დონის შემსრულებლებიც ჰყავთ. განსაკუთრებით ნვანკვო კანუს და სელესტინ ბაბაიაროს გამოვარჩევდი" — თქვა ფოგთსმა.

სხვათა შორის, ბრიტანელთა თავკაცი დღევანდელ მატჩში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელის გამოცდას აპირებს. ისე, გუნდის ხუთი წამყვანი მოთამაშე ტრავმირებულია — დომინიკ მატეო, პოლ დიკოვი, მეკარე ნილ სალივანი, რეინჯერსელები ბარი ფერგიუსონი და სტივენ პიუზიც ვერ ითამაშებენ. შანსი მიეცემათ რობი სტოკდეილს, გრემ ალექსანდერს და გარი კონორსს, რომელთაც, ვინძლო სანაკრებო დებიუტი ჰქონდეთ.

ბერტი ფოგთსმა ასევე განაცხადა, რომ გამუდმებით აკვირდება ახალგაზრდა შოტლანდიელების თამაშს, როგორც ქვეყნის ჩემპიონატში, ასევე კუნძულს მიღმა და თუ ვინმე თავს გამოიჩენს, მას აუცილებლად მისცემს ნაკრებში თამაშის საშუალებას.

გერმანელმა განსაკუთრებით ყმაწვილი სტოკდეილი და ალან ჯონსტონი აქო. ორივე „მიდლსბროში" თამაშობს.

**ნიკა შუბლაძე**


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»



საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93




ფლორენციელი გულშემატკივრები მალიმალ აკითხავენ „ფიორენტინას" ოფისს და მკვახედაც ლაპარაკობენ

# მესაფლავე

## კიარუჯიმ ფიორენტინა მეორედ გაასვენა

**კვირას**, 14 აპრილს, ფლორენციის არტემიო ფრანკის (უეფას ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამოს" თასების მფლობელთა თასი გადასცა) სახელობის სტადიონზე, „ფიორენტინამ" „ლაციოსთან" 0:1 წააგო და იტალიური ფეხბურთის უმაღლეს საფეხურს, სერია A-ს გამოეთხოვა. ამრიგად, ქვეყნის 1956 და 1969 წლების ჩემპიონი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეორედ დაქვეითდა სერია B-ში. ახლა, პირველობის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ფლორენციელებს 22 ქულა აქვთ და მე-15 პოზიციაზე მყოფ „ბრეშას" 12 ქულით ჩამორჩებიან — დაწევა გამორიცხულია. მოგეხსენებათ, სერია A-დან ყოველი სეზონის ბოლოს ოთხი გუნდი ვარდება. მიმდინარე გათამაშებაში ჯერჯერობით ორი უიღბლოს ვინაობაა გარკვეული, „ვენეცია" და „ფიორენტინა".

„ჩემთვის, ისევე როგორც „ფიორენტინას" ნებისმიერი ქომაგისთვის დღეს სევდიანი დღეა" — თავი დახარა გუნდის დროებითმა მწვრთნელმა ლუჩანო კიარუჯიმ „ლაციოსთან" მატჩის შემდეგ, რომელმაც განწირულის გადასარჩენად ორი კვირის წინ მოჰკიდა საქმეს ხელი. ბედის ირონიაა: როგორც მოგახსენეთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფლორენციელები მეორედ დაემშვიდობნენ სერია A-ს და ორივეჯერ „პანაშვიდის მიღება" ლუჩანო კიარუჯის მოუხდა. არადა, ჩვეულებრივ ის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელია, ოღონდ... ასე იყო 1993 წელსაც, „ფიორენტინა" ვარდებოდა, ჯანკარლო ანტონიონი თანამდებობიდან დაითხოვეს და ბოლო თამაშები კიარუჯის შეაჩეჩეს.

„მიჯობს კომენტარისგან თავი შევიკავო..." — ამბობს ამასთან დაკავშირებით საბრალო სპეციალისტი, რომელსაც ქომაგთა იმ ნაწილმა, საკუთარ თავს „ულტრას" რომ უწოდებს, ბოიკოტი მოუწყო.

მაგრამ რა შუაშია სინიორ კიარუჯი? ის ამბობს:

„ბოლო ცხრა თვეში უამრავი რამ მოხდა. მგონი ფეხბურთელები დაშინებულნიც კი იყვნენ. ტრავმები ტრავმებად და, მათ ხან სასამართლოთი ემუქრებოდნენ, ხანაც გასამრჯელოს არ უხდიდნენ. ჩვეულებრივ, კვირის მანძილზე გუნდში მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იყოს საუბარი, ჩვენ კი უმეტესად სხვა პრობლემებს ვიხილავდით".

და ყველაფერი რიგზე რომ არ იყო, ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ჩანდა. გაზეთებში გაჩნდა წერილები კლუბის ვალებზე, პრობლემები პრეზიდენტის, ვიტორიო ჩეკი გორის მედია-კომპანიებსაც შეექმნათ, ხოლო გვერგვინად, „ფიორენტინამ" ორი წამყვანი მოთამაშე გაყიდა: მეკარე ფრანჩესკო ტოლდო „ინტერს" მისცა, ხოლო გამთამაშებელი მანუელ რუი კოშტა „მილანს".

ეს უკვე განგაშის ზარი გახლდათ, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდებოდა — გაუქმდა შვედი ნახევარმცველის დანიელ ანდერსონის და იუგოსლაველი დეიან სტანკოვიჩის ტრანსფერები. ჩეკი გორი, მიუხედავად იმისა, რომ პრესატელევიზიას და ტიფოზებს ეს ფეხბურთელები უკვე წარუდგინა, მათ ვეღარ ყიდულობდა.

შემდეგ სეზონი დაიწყო და „ფიორენტინა" პირველ ტურში შინ დებიუტანტ „კიევოსთან" დამარცხდა, მეორეში კი „მილანმა" დაჯაბნა 5:2 და იმთავითვე ნათელი შეიქნა — ფლორენციელთა ახალგაზრდა მწვრთნელს, რობერტო მანჩინის ძირითადად ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე მოუწევდა ფიქრი.

დადგა სექტემბრის ბოლო. „ფიორენტინა" „ვენეციას" ხვდებოდა, როდესაც იტალიის ნაკრების ფორვარდი ენრიკო კიეზა დაშავდა. ექიმების დასკვნა მორიგი მეხის გავარდნას ჰგავდა: კიეზა ამ სეზონში მოედანზე ვეღარ გავა!

კლუბს ახალი, თან ძლიერი ფორვარდის შესაძენად ფული აღარ ჰქონდა, ამიტომ მანჩინიმ ხერხს მიმართა, უკონტრაქტო, მოხეტიალე მაურიციო განცს დაუკავშირდა, მაგრამ ამ დროს ახალმა ჭირმა იჩინა თავი — თურმე მოთამაშეთათვის ოთხი თვის მანძილზე ხელფასი არ მიეცათ, რის პასუხადაც მათ კრება ჩაატარეს და სასამართლოს კარს მიდგომა გადაწყვიტეს. გარშემო უკვე ყველა ხმამაღლა ლაპარაკობდა „ფიორენტინას" გაკოტრებაზე, რაც ბოლოს და ბოლოს თვით ჩეკი გორიმაც აღიარა. პრეზიდენტმა კლუბის გაყიდვაზე ჩამოაგდო სიტყვა.

სასამართლოს კარს მიმდგარი ფეხბურთელები კი ჩეკი გორიმ დააშოშმინა. მან თავისი კინოკომპანიიდან გადარიცხა ფული, რომელიც ხელფასებად დარიგდა და თითქოს „ლაციოდან" სინიშა მიხაილოვიჩის გადმოყვანის საქმეც აეწყო, მაგრამ მალე ეს იმედიც საპნის ბუშტივით გასკდა და მანჩინიმ ქუდი დაიხურა — ქომაგები ცუდი შედეგებისთვის პასუხს მწვრთნელს სთხოვენ, ისინი მეტად და მეტად აგრესიულნი ხდებიან, ეს კი მე და ჩემს ოჯახს გვაშინებს და არც გიჟი ვარ, სხვის პრობლემებს თავი შევწირო.

ერთი სიტყვით, მანჩინი წავიდა, მისი ადგილი კი კლუბში ტექნიკურ დირექტორად მომუშავე ოტავიო ბიანკიმ დაიკავა. მაგრამ, რას იზამდა ბიანკი, თუკი ფეხბურთელები კვლავ ვერ იღებდნენ ხელფასებს და მათი გონება უმალ სალაროსთან ტრიალებდა, ვიდრე მოედანზე? ცხადია, ვერაფერს... და ბიანკიმაც დაიხურა ქუდი, ხოლო „ფიორენტინას" დირექტორატი „პანაშვიდთა მიმღებ" კიარუჯის მიადგა.

მაგრამ, მოდით ყველაფერს მუქ ფერებში ნუ დავხატავთ და გავიხსენოთ, რომ „პირველი პანაშვიდის" შემდეგ გუნდი სერია A-ს უმალ, ერთი სეზონის მერე დაუბრუნდა — მაშინ გაბრიელ ბატისტუტამ ურთგულა ფლორენციელებს, სერია B-ში ჩაჰყვა და თავისი გაიტანა.

თუმცა — ძალიან კი გვინდა ფერთა განათება, მაგრამ — კიარუჯი ამბობს, ახლა დაბრუნება ძალიან ძნელი იქნებაო.

„ამ და იმ გავარდნას ერთმანეთს ვერ შევადარებ. მაშინ ყველა ერთ მუშტად იყო შეკრული, რადგან პრეზიდენტმა მტკიცედ განაცხადა: ჩვენ უნდა დავბრუნდეთ, ამისთვის კი ფეხბურთელებს დავიტოვებ! ახლა? დიახაც, ძალიან გვინდა დაუყოვნებლივ დაბრუნება, მაგრამ ამისთვის ის ფეხბურთელებია საჭირო, მუშაობას რომ არ დაიზარებენ, რომელთაც კარგად გადაუხდიან და სამომრად განაწყობენ".

თქვენს მტერს, „ფიორენტინაში" ამბები ხდება.

**ბაჩუნა ძიძია**

# ხილს ვინ ასწავლის, ციხე რა ხილია!

ეროვნული ბიბლიოთეკა




**გუშინ** ესპანეთის უმაღლესმა სასამართლომ მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტი ხესუს ხილი გისოსებს მიღმა გაისტუმრა. ექსცენტრული და შავბნელი საქმეებით ცნობილი ხილისთვის ეს პირველი პატიმრობა არ არის და ოდენ პარასკევამდე გასტანს ანუ წინასწარი პატიმრობაა. აი, რა იქნება პარასკევს 17 საათის მერე-

აღნიშნულ დღეს და საათზე სასამართლომ განაჩენი უნდა გამოიტანოს. ხილს დიდძალი ფულის მითვისებაში ედება ბრალი, ხოლო პროკურორმა მისთვის ჩვიდმეტწლიანი, მისი შვილისთვის კი ათწლიანი პატიმრობა მოითხოვა. უმცროსი ხილი, ხერესი, მამის მარჯვენა ხელი ყოფილა საციხო საქმეების კეთებაში.




# გიტარა და ჩქარი ტაში ლუიშ ფიგუს ცხოვრებაში

**ფოტოზე**, რომელიც გუშინ პორტუგალიური გაზეთების უმრავლესობამ პირველ გვერდზე დაბეჭდა, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელს ლუიშ ფიგუს ხედავთ, იგი ამჯერად მისთვის უჩვეულო ამპლუაში წარსდგა საზოგადოების წინაშე.

ფიგუ, ალბათ, ნამდვილად ვერ უკრავს გიტარაზე ისე, როგორც ფეხბურთის თამაში ეხერხება, თუმც ფიგუა და მისი ჩაწერილი სიმღერა მაინც ისარგებლებს დიდი პოპულარობით. მით უმეტეს, რომ მადრიდის „რეალის" ნახევარმცველს სიმღერა მარტო არ ჩაუწერია. მას მხარს პოპულარული პორტუგალიელი მომღერალი პაულუ გონშოც უმშვენებდა.

დღეს პორტუგალიის ნაკრები ბრაზილიისას ამხანაგურად გაეჯიბრება, ცხადია, ფიგუს თამაშიც იგეგმება. მან კი, გადატვირთული სპორტული გრაფიკის მიუხედავად, მაინც გამონახა დრო მუსიკისთვის. სიმღერას „მუნდიალი" ჰქვია და მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს ეძღვნება. კომპაქტდისკი მაისიდან შემოიდება მაღაზიების დახლებზე, შემოსავალი კი გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდში გადაირიცხება.

**ნინა შუბლაძე**

# ორტეგა ორით დაბრუნდა

## არგენტინა

### კლაუსურა

**XIII ტური:** რივერ პლეიტი — კოლონი 4:2; ესტუდიანტესი — ბოკა ხუნიორსი 0:1; როსარიო სენტრალი — ნიუელს ოლდ ბოიზი 0:0; ჩაკარიტა — ხიმნასია (ლა პლატა) 0:1; რასინგი — ნუევა ჩიკაგო 1:0; ურაკანი — ველეს სარსფილდი 1:0; არგენტინოს ხუნიორსი — ბელგრანო 1:2; ტალერესი — ინდეპენდიენტე 0:0; უნიონი — ბანფილდი 0:2; ლანუსი — სან ლორენსო 2:2

**ორმატჩიანი** დისკვალიფიკაციის შემდეგ არიელ ორტეგა „რივერ პლეიტის" ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა და დაბრუნება დუბლით აღნიშნა. „რივერმა" 4:2 მოუგო „კოლონს", ორტეგა კი ბოლოხანს ატეხილი მითქმა-მოთქმის მიუხედავად კვლავაც მოიაზრება ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად.

ორი გოლი შეაგდო ბოლოხანს მიჩუმებულმა 18 წლის ვარსკვლავმა ფერნანდო კავენაგიმაც, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში „კოლონთან" შეხვედრაში.

ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება „რივერისთვის", რომელსაც 13 თამაშიდან 30 ქულა აქვს და კლაუსურას ლიდერობს. ამავე ტურში მოიგო ლიდერის სამივე უახლოესმა მდევარმა და სამივემ ერთნაირი ანგარიშით — 1:0.

მარადიულმა მეტოქემ, „ბოკა ხუნიორსმა" სებასტიან ბატალიას გვიანი თავურით სძლია „ესტუდიანტესს". „ბოკას" ამ კლაუსურაში რვა გამარჯვება აქვს და ეს ზედიზედ გამარჯვებებია. ბოკელები ერთი მოგებით ჩამორჩებიან „რივერს", ლა პლატას „ხიმნასია", კი რომელმაც გასვლაზე დაამარცხა „ჩაკარიტა" (გოლი ფაკუნდო საკამ გაიტანა), მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობითაა „ბოკაზე" უკან. აპერტურას ჩემპიონი „რასინგ კლუბი" კი, რომელმაც ადრიან ბასტიას მიერ პირველ წუთზე გატანილი გოლით სძლია „ნუევო ჩიკაგოს", ამ ორზე სამი ქულით უკანაა.

როსარიულ დერბიში, ერთ-ერთ უძველეს საფეხბურთო ქიდილში, ლუის მენოტის „როსარიო სენტრალმა" გოლი ვერ გაუტანა „ნიუელს ოლდ ბოიზს", თუმცა, არც თავად გაუშვია და ხსენებული დერბი უგოლოდ დასრულდა.

გოლი არ გასულა ცხრილის ბოლოში მოქცეული „ტალერესისა" და ერთ დროს დიდი „ინდეპენდიენტეს" შეხვედრაშიც. ორივე მაჩანჩალას ახალი მწვრთნელი ჰყავს, ტალერესელებს — ლეგენდარული ფეხბურთელი ენცო ტროსერო, დამცრობილ მეტროპოლიელ გოლიათებს კი 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ამერიგო გალიეგო ჩასდგომია სათავეში.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 13 | 9 | 3 | 1 | 27:7 | 30 |
| ბოკა ხუნიორსი | 13 | 8 | 3 | 2 | 21:12 | 27 |
| ხიმნასია | 13 | 8 | 3 | 2 | 25:18 | 27 |
| რასინგი | 13 | 7 | 3 | 3 | 16:12 | 24 |
| ბანფილდი | 13 | 6 | 4 | 3 | 16:11 | 22 |
| სან ლორენსო | 13 | 5 | 5 | 3 | 18:12 | 20 |
| ურაკანი | 13 | 6 | 1 | 6 | 15:17 | 19 |
| ოლდ ბოიზი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:19 | 18 |
| ესტუდიანტესი | 13 | 5 | 2 | 6 | 22:19 | 17 |
| ველესი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:13 | 16 |
| ლანუსი | 13 | 3 | 7 | 3 | 13:13 | 16 |
| ბელგრანო | 13 | 5 | 1 | 7 | 13:16 | 16 |
| ნუევა ჩიკაგო | 13 | 4 | 4 | 5 | 10:15 | 16 |
| კოლონი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:16 | 15 |
| არგ. ხუნიორსი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:19 | 15 |
| ჩაკარიტა | 13 | 3 | 5 | 5 | 13:15 | 14 |
| როსარიო | 13 | 4 | 2 | 7 | 13:18 | 14 |
| ტალერესი | 13 | 4 | 1 | 8 | 8:18 | 13 |
| ინდეპენდიენტე | 13 | 3 | 2 | 8 | 11:20 | 11 |
| უნიონი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:26 | 9 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XXXI ტური

— აბა, რა გითხრათ. მაინც ვფიქრობ, რომ ძნელია, რამეს მიაღწიო, როცა 90 წუთი არ თამაშობ. სიმართლე გითხრათ, თამაშიც არ გამომდიოდა, ალბათ, კარგად ვერ მოვემზადე.

**— ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენიმე მატჩი გაქვს ჩატარებული, თუმც ბოლო შესარჩევ ციკლში აღარ გიწვევდნენ. ამით ძალიან გაწბილებული იყავი?**

— ნაკრებში, ალბათ, იმიტომ არ მიწვევდნენ, რომ „დინამოში" დიდად არ გამოვირჩეოდი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამხანაგურ თამაშებში მაინც უნდა გამოვეძახებინე მწვრთნელებს. ერთი სიტყვით, არანაირი შანსი არ მომცეს.

**— კლუბში კი პირველად მაშინ მოგეცა შანსი, როცა „დინამო 2"-დან პირველ „დინამოში" აგიყვანეს, მაგრამ...**

— „დინამოს" მეორე გუნდშიც ძალიან სერიოზულად ვუდგებოდით საქმეს. იმდენი მოვახერხეთ, უმაღლეს ლიგაშიც ამოვყავით თავი და მაშინ პირველი „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ თავისთან მიხმო, მაგრამ მერე საზარდულმა ისე შემაწუხა, საოპერაციო გავხდი და ამის გამო, ფაქტობრივად, ერთი წლით ჩამოვშორდი ფეხბურთს.

**— ძველი ამბავია, მაგრამ ამაზეც ვთქვათ — 5 წლის წინ ამსტერდამის „აიაქსში" იყავი სტაჟირებაზე.**

— ეს მართლაც ძალიან მაგარი რამ იყო. „აიაქსმა" „დინამოს" მიმართა, ვინმე ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელი გამოგვიგზავნეთო და კლუბის ხელმძღვანელობამაც მე გამიშვა ამსტერდამში. იმ სტაჟირების შთაბეჭდილებებს ისიც ამლიერებს, რომ შოთა არველაძე მაშინ ახალი გადასული იყო „აიაქსში" და ამსტერდამელებიც იმ სეზონში ჩემპიონები გახდნენ.

ყველაზე უფრო განსაკუთრებული „აიაქსში" ის ვნახე, რომ დიდი და პატარა კლუბში ერთი სტილით და სისტემით თამაშობდა. „აიაქსს" ძალიან ბევრი გუნდი ჰყავდა და აქედან გამომდინარე, სელექციაც განსაკუთრებული ჰქონდა.

**— „დინამოს" დავუბრუნდეთ. გუნდი შუშაკის ხელშიც ფაქტობრივად ერთი ფორვარდით თამაშობს, მიუხედავად იმისა, რომ ვიტალი დარასელია ნახევარდაცვიდან წინ არის წაწეული. როგორ ფიქრობ, ფორვარდისთვის უფრო ადვილია, როცა გუნდი ერთი თავდამსხმელით თამაშობს, თუ პირიქით?**

— ერთი ფორვარდით თამაში ძნელია, ვიდრე ორით და ამას მეც ვგრძნობ. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ვიტალი დარასელიას გვერდით თამაში სასიამოვნოა. ვიტალი საჯარიმოს გარეთ ძალიან ძლიერია, ერთობ შრომატევად სამუშაოს ასრულებს და თამაშს მიადევილებს.

თავდასხმაში ეულად ყოფნა კი იმიტომაა ძნელი, რომ რამდენიმე მცველთან ხშირად მარტოს გიწევს ბრძოლა, მაგრამ მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა და ეს ამართლებს კიდეც.

**— „ლოკომოტივის" დამარცხებითა და მეორე ადგილზე აღზევებით „დინამოს" მადა კი მოემატა, მაგრამ ჩემპიონობა, ალბათ, ძნელი იქნება. ამისთვის გუნდმა ორივე თამაში უნდა მოუგოს „ტორპედოს" და არც სტუმრად უნდა დაუცდეს ფეხი „ლოკომოტივთან". ბევრი თვლის, რომ „დინამო" ახლა არაა ისეთი ძლიერი, რომ „ტორპედოს" ქუთაისში მოუგოს, რაც მის გაჩემპიონებას გამორიცხავს.**

— არ მესმის, რატომ არის ასეთი აზრი? ვინ ამტკიცებს ამას გადაჭრით? განა წინა ჩემპიონატში არ მოვუგეთ „ტორპედოს" ქუთაისში, როცა „დინამოს" რევაზ არველაძე ედგა სათავეში? მოგება „დინამოს" ყველგან შეუძლია, მათ შორის ქუთაისში, თუ, რა თქმა უნდა, სერიოზულად, სათანადოდ მოვემზადებით. ფაქტია, გუნდი ახლა გაცილებით უკეთ ათამაშდა, რასაც ჩვენი მცველების კარგი თამაშიც დიდად განაპირობებს.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი მიქაძის შეჩერება ძნელი გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

16 აპრილი. სპორტის სასახლე

### სტუ 98:85 თსუ

23:23, 22:18, 28:21, 25:23

სტუ: აბრამიძე (18), ხოშტარია (42), დავითულიანი (9), ბაბიაშვილი (7), შენგელია (14); გაგნიძე, მარხვაშვილი, ოთიურიძე, ლოსაბერიძე (4), მინაშვილი (4)

თსუ: ნიკოლაძე (25), ხეცურიანი (3), გ. მარკოიშვილი (14), კილაძე (12), არსიაშვილი (9); სანიკიძე (1), ვეფხვაძე (12), შანიძე (9)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

### აზოტი 77:98 დინამო

16:23, 24:26, 16:27, 21:22

აზოტი: გაბისონია, გოგობერიშვილი (30), კურილჩუკი (8), შპუნტი (7), მაჭარაძე; ბერუაშვილი (6), ბოისა (2), დანელიანი, იამჩუ, არწივიძე, კოკოლიშვილი (24), ჯიმშელეიშვილი

დინამო: ტურაშვილი (23), წოწელია (6), ნაცვლიშვილი (14), ჩუბინიძე (2), ჯაფარიძე (7); მაისურაძე, მუპე (3), ფლენტი (20), ნინიაშვილი (17), ჩხეიძე (6)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

# სტუდენტური პიკეტი საქართველოს პიკზე



აზოტელი ზაზა გაბისონია და დინამოელი გოჩა წოწელია (ბურთით) ჭიდაობენ

ირაკლი პერტაია

**გუშინ** სპორტის სასახლეში გამართული ორივე მატჩი მეტად პრინციპული იყო. ცხრილის თავ-ბოლოში მყოფნი, რომელთა საქმე თითქმის გარკვეულია, ისვენებდნენ. თამაში საშუალოებს მოუხდათ, რომელთაგან ვინ ოთხეულში შესაძრომად იბრძვის, ვინ იქ მაღლა ასაბობლებლად.

თსუ-მ გუშინწინ „დინამოსთან" უიმედოდ წააგო და მდგომარეობის გამოსწორების საუკეთესო შესაძლებლობა გუშინ ჰქონდა. გელა წულაძის გუნდი მეოთხე ადგილიდან ჩამოშხირალ „სტუდენტელს" ხვდებოდა და შეეძლო, მათ შორის არსებული სამქულიანი სხვაობა გაებათილებინა. თავის მხრივ, ტექნიკოსებს მოგება იმიტომ ესაჭიროებოდათ, რომ ნახევარფინალში „ბასკოსთან" არასახარბიელო შეჯახების პერსპექტივა თავიდან აეცილებინათ.

მატჩისწინა ვითარება სტუ-ს გამარჯვებას მოასწავებდა. თსუ-ს „დინამოსთან" დაშავებული ცენტრი, დავით მუშკუდიანი გამოაკლდა და თუ ლევან ქარაბაკისა და გულივერ ახალკაცის არყოფნასაც გავითვალისწინებთ, მათ მეფარე ფაქტობრივად არ ჰყავდათ. სახელმწიფო უნივერსიტეტელებს შენგელია-ბაბიაშვილის მძლავრი ტანდემის წინააღმდეგ სანიკიძე-კილაძის დუეტი შეეგებებინათ, მაგრამ ძალთა თანაფარდობა თვალსაჩინო იყო და გელა წულაძემ ცენტრის გარეშე თამაში გადაწყვიტა.

თსუ-ს სასტარტო ხუთეულში კილაძე და არსიაშვილი იყვნენ, რომელთაც ფარქვეშ ჯაჯგური და ბრძოლა ასე თუ ისე ეხერხებათ, მაგრამ რა ფარი, რის ფარი. კილაძე, რომელიც „ბასკოში" ყოფნისას ფარქვეშეთის მრისხანებად ითვლებოდა, ამ არემარეს არ გაეკარებია. ის მეტოქის ფარის პერიმეტრზე გარბოდ-გამორბოდა, წამდაუწუმ სამქულიანებს ესროდა და სიღრმეში შეჭრას არც კი ცდილობდა. ისე, ალბათ, არც არაფერი გამოუვიდოდა, რადგან სტუელებს თავიანთი საჯარიმოს გარშემო ისეთი პიკეტი მოეწყოთ, ჩვენს ძალოვნებს შეშურდებოდათ. ამიტომაც იყო, თსუ-მ ფარქვეშიდან პირველად სადებიუტო მეოთხედის ბოლო წუთზე რომ იხეირა. მაგრამ ყოველივე ეს წულაძის შეგირდთ ლიდერობაში ხელს სულაც არ უშლიდათ. საქმე ისაა, რომ სტუ კახა შენგელიას ვერ იყენებდა, უფრო ზუსტად, მეტოქე არ აძლევდა საკუთარ ზონაში გასაქანს და თამაშიც თანაბარი იყო პირველ შესვენებამდე — 23:23.

მეორე ათწუთეულის განახლება და ნიკოლაძის მიერ თსუ-ს დაწინაურება თითქმის ერთად მოხდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ლაშა ლოსაბერიძემ სტუ-ს შეტევებს სისწრაფე შემატა, მამუკა აბრამიძემ კი შორიდან ორჯერ ზუსტად ესროლა და ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა 3 წუთში 12 ქულა მოიგო. თსუელები არ დაბნეულან და ნიკოლაძის შედეგიანი გარღვევებით აგრძელებდნენ წინააღმდეგობას. დიდ შესვენებამდე ანგარიშში სხვაობა ოთხამდეც შეამცირეს, მაგრამ მესამე მეოთხედში ნერვები ვერ მოთოკეს და... ჯერ შიო ხეცურიანმა გამოსტყუა მსაჯს ტექნიკური და გავარდა, მერე კი გიორგი მარკოიშვილი იმდენს ეჩხუბა და ეჩხუბა ზაზა მაჩალაძეს, სანამ მოედანთან ერთად სპორტის სასახლეც არ დაატოვებინებინა. ბოლო ინციდენტი 29-ე წუთზე მოხდა და გამარჯვებულის ვინაობაც ამ დროს გაცხადდა.

მეორე მატჩშიც არანაკლები იყო ინტრიგა. „აზოტი" მეორეზე მყოფ „დინამოს" ეთამაშებოდა და მოგებით ცხრილში უთანაბრდებოდა. თუმცა, რუსთაველებმა უიმედოდ წააგეს და მეოთხე ადგილზე დასხლდნენ.

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 23 | 21 | 2 | +485 | 44 |
| დინამო | 25 | 17 | 8 | +281 | 42 |
| სტუ-ჯეოსელი | 25 | 15 | 10 | +193 | 40 |
| აზოტი | 25 | 15 | 10 | +152 | 40 |
| თსუ | 24 | 12 | 12 | -4 | 36 |
| მყაბი | 24 | 11 | 13 | -94 | 35 |

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს „სარბიელის" რედაქტორს თამაზ მიგრიაულს ძმის
ლუხუმ მიგრიაულის
გარდაცვალების გამო

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაუგრძნობს „სარბიელის" რედაქტორს თამაზ მიგრიაულს ძმის
ლუხუმ მიგრიაულის
გარდაცვალების გამო

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შაქილს თავს აუვიდა

15 აპრილი

**მინესოტა 90:93 ბოსტონი**

მინესოტა: გარნეტი (20 ქულა, 11 მოხსნა), შჩერბიაკი (19), ნესტეროვიჩი (12)

ბოსტონი: პირსი (31), ბათი (14), უოლკერი (13)

**ლეიკერსი 111:104 სიეტლი**

ლეიკერსი: ონილი (41 ქულა, 11 მოხსნა), ბრაიანტი (19), ფიშერი (13)

სიეტლი: პეიტონი (20), დრობნიაკი (18), ბერი (12), მეისონი (12)

**ფილადელფია 96:98 ჩიკაგო**

ფილადელფია: სნოუ (21), სმიტი (14), მაკრენგი (13)

ჩიკაგო: როუზი (32), კროუფორდი (14), კარი (12)

„პორტლენდთან" წყვილ ოვერტაიმიან კვეთაში გაკვეთილმა „ლეიკერსმა" ღირსეულად დაიდგა თავი და ბოლომ მძლევრის მეზობელ „სიეტლს" დაანთხია.

„ორ-სამ დღეში პლეი ოფი იწყება და ჩვენც ჩვენი მზადყოფნა შევამოწმეთ. „პორტლენდთან" მარცხი არაფერს ნიშნავს. მის გარდა ნბა-ში არაერთი კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ ყველა შემხვედრს გავთელავთ და მიყოლებით მესამედ გავხდებით ჩემპიონები" — პლეი ოფის წინ ჩვეულად იფხორება „ლეიკერსის" ზეკაცი შაკილ ონილი. მუქარის ასრულებაში მას 150-კილოიანი და 216-სანტიმეტრიანი მთასხეული დაეხმარება. მანამდე შაკილმა უცენტრო „სიეტლზე" გამოსცადა თავი, ხომ არ მოვდუნდიო და 41 ქულის მოხვეჭით თითქოს მეავედ არ დარჩენილა. უთქვამს, მეტის ჩაგდებაც შემეძლო, მაგრამ საჭიროდ არა ვცანი, ისედაც ყველამ იცით, ჩემი ზედა ზღვარი ყველა ნბა-ელის თავებს ზემოთ გადისო.

ბრძოლა კი მაინც შედგა. თავ და ბრძოლამოყვარე „სიეტლმა" წინასწარ დანებება არ იკადრა და პირველ მეოთხედში საფუძვლიანად აწვალა მეტოქე, ჯილდოდ ამ განაკვეთში 29:28 ხელბაც ერგო. მაგრამ აქ დამთავრდა სტუმართა წინყოფნა. შაკმა თავისი ზემასიური ტან-ხელ-ფეხი აამუშავა და თანამეინახე ცოტათი წინ წასწია. დიდი შესვენების შემდეგ მას ჩაუქი კობი ბრაიანტიც წაეხმარა, თავისი 19 ქულიდან 15 მესამე მეოთხედში გამოვიდა და ბოლო თორმეტ წუთამდე „ლეიკერსი" 18 ქულით გასჭრა წინ. „სიეტლმა" ცოტა ნაკლები სხვაობით და მეტი ღირსებით წაგებაღა შეძლო. ამის მიუხედავად, შეგირდთა გარჯამ კმაყოფილება ვერ მოჰგვარა დამარცხებულ „ზებგერითთა" მეთაურ ნეიტ მაკმილანს, რომელსაც უთქვამს, წაგება წაგებაა, მისი თავიდან აცილება შეგვეძლო და საამისოდ ყველაფერი არ ვილონეთო.

ძალოვან მეტოქესთან მარცხი აირიდა, ანუ თავად მოიგო „ჩიკაგო ბულზმა", რომელიც სხვათა შორის, 29-გუნდა ლიგაში ოფიციალური 29-ე აღარაა. ჯორდანის წასვლის შემდეგ დაკოდილი ჩიკაგოელი „ხარები" ბოლო ოთხ სეზონში იქნებ ყველაზე უკეთ სწორედ ახლა ირჯებიან. აგერ ვიცე-ჩემპიონი, თან ყველა შეხვედრაში პრინციპული მეტოქის დამნახავი და გამარჯვებამოწადინებული „ფილადელფია სიქსერზი" დათელეს. სიმართლეს გაუმარჯოს და არ იქნება „სიქსერზის" სატკივარი, ტრავმები არ ვახსენოთ. ძველ დედაქალაქელებს ექვსი მთავარი მობურთალიდან ოთხი — აივერსონი, კოულმენი, მუტომბო და მაკი აკლდათ და, რა გასაკვირია, რომ გამარჯვებათა სუნნაყნოსი „ხარების" მოძალებისას გაირღვნენ.

ისე ფილადელფიელთ მაინც ეთქმით საყვედური, პირველ ტაიმში სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ და დიდ შესვენებაზე ცხრაქულიანი წინყოფნით და გამარჯვებაში თავდაჯერებულნი წავიდნენ. შემობრუნებულებიც ყინჩად მიმოდიოდნენ, თითქოს გამარჯვება ჯიბეში ედოთ და თავს უგულოდ სირბილის ნებაც დართეს. „ხარებმა" ხავსი დაინახეს და მოეჭიდნენ. მათ შორის ყველაზე მარჯვე ქულათმხვეჭელმა ჯალენ როუზმა გარემომომტრიალე ბიჭ-ბუჭები აიყოლია და ბოლო მეოთხედში ანგარიშის გათანაბრების მოთავეც შეიქნა. საფინალო სირენამდე ორი წამით ადრე და 96:96 ანგარიშზე მანვე ჩააგდო ორი საჯარიმო და თავის დუხჭირ გუნდს 21-ე სასეზონო გამარჯვება ახარა.

„ბოსტონ სელტიქსი" ბოლო შვიდ სეზონში პირველად გავიდა პლეი ოფში, თან აღმოსავლურ ნახევარ განაკვეთში მესამე ნომრად განთესვა დაიბევა, ამის მიუხედავად, „კელტებმა" მათზე გაცილებით მოტივირებულ მინესოტელ „მგლებს" მათსავე ბუნაგში კბილები დაამტვრეს. ამ საქმეში ყველაზე მეტი სიმარჯვე სტუმართა ყოჩმა პოლ პირსმა გამოიჩინა, რომელიც იქნებ სეზონის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედაც დაასახელონ.

ირაკლი ფირცხვილი



ლეიკერსი — სიეტლი. შაკილ ონილს ამაოდ სდია სამმა სიეტლელმა

REUTERS

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 51 | 29 | 63,8 |
| დეტროიტი | 48 | 32 | 60,0 |
| ბოსტონი | 48 | 33 | 59,3 |
| ორლანდო | 43 | 37 | 53,8 |
| ფილადელფია | 43 | 38 | 53,1 |
| შარლოტი | 42 | 38 | 52,5 |
| ტორონტო | 41 | 39 | 51,3 |
| მილუოკი | 40 | 40 | 50,0 |
| ინდიანა | 40 | 40 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 36 | 45 | 44,4 |
| მაიამი | 35 | 45 | 43,8 |
| ატლანტა | 33 | 47 | 41,3 |
| ნიუ იორკი | 30 | 50 | 37,5 |
| კლივლენდი | 29 | 51 | 36,3 |
| ჩიკაგო | 21 | 60 | 25,9 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| საკრამენტო | 60 | 20 | 75,0 |
| დალასი | 56 | 24 | 70,0 |
| ლეიკერსი | 57 | 24 | 70,4 |
| სან ანტონიო | 56 | 24 | 70,0 |
| მინესოტა | 49 | 32 | 60,5 |
| პორტლენდი | 48 | 33 | 59,3 |
| იუტა | 44 | 36 | 55,0 |
| სიეტლი | 44 | 37 | 54,3 |
| კლიპერსი | 38 | 42 | 47,5 |
| ფინიქსი | 35 | 45 | 43,8 |
| ჰიუსტონი | 28 | 52 | 35,0 |
| დენვერი | 26 | 54 | 32,5 |
| მემფისი | 23 | 57 | 28,8 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 60 | 25,0 |

დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები. პირველ ორ ადგილზე არიან დივიზიონების ლიდერები

## კვირის მოთამაშეები

**აღმოსავლეთი**

ერიკ სნოუ
• ფილადელფია •



**დასავლეთი**

მაიკლ ფინლი
• დალასი •



**თითქმის** ჩამთავრებული რეგულარული სეზონის ბოლო კვირის ყველაზე მარჯვე მობურთალებად ლიგამ არცთუ თავგამოჩენილნი დაასახელა. ეს წოდება აღმოსავლეთში „ფილადელფიას" გამთამაშებელ ერიკ სნოუს ერგო, რომელიც ნბა-ში ყველაზე ჯენტლმენი მოთამაშე იქნებ იყოს, მაგრამ კონფერენციაში ყველასმჯობნი კი ვერ გახლავთ. ეგაა სასწაულმექულე ალენ აივერსონის არყოფნაში სნოუმ ჩვეულზე მეტი ბურთი ისროლა, მათი დიდი ნაწილი ჩააგდო და წინა კვირის განმავლობაში ნათამაშებ ოთხ მატჩში საშუალოდ ნახვეჭი 17 ქულით და რვა პასით კვირის მოთამაშეობას გამოჰკრა ხელი. მისმა „სიქსერზმა" ამ ოთხი თამაშიდან სამი მოიგო.

წინა კვირაში ხუთჯერ ნათამაშები და ოთხჯერ ნახეირები „დალასის" მსროლელ მაიკლ ფინლის დასავლეთში პირველკაცობა ერგო. მისი ქულებრივი მონაგარი სნოუსას აჭარბებს, მატჩში საშუალოდ 24,2-ს შეადგენს, ამდენად გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფინლი წინა კვირაში ორივე კონფერენციაში სხვა ყველაზე თავგამოჩენილი მოთამაშეა.

# იაშვილური მამა-შვილური

**ქართველი** ემიგრანტის შთამომავალი მიშელ იაშვილი ის კაცია, ფრანგული რაგბის ცოცხალ ლეგენდად რომ ქცეულა და ახლა ისტორიული სამშობლოს სამსახური სწადია. მისი ვაჟი, გრეგუარი, რახანია, ბორჯღალოსანია, თავად მიშელი კი შარშან საფრანგეთის „ა" ნაკრების ჩამოსვლისას პირველად ესტუმრა საქართველოს და მას აქეთ ბორჯღალოსანთა მატჩები არ გაუცდენია. თუმა არ უნდა, მიშელ იაშვილის ცოდნა და ავტორიტეტი ერთობ წაადგება ქართულ რაგბის.

ახლახან აღმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების IRB-ის (რაგბის საერთაშორისო საბჭო) ოფიცერი გია ჭუმბურიძე და მიშელ იაშვილი ბათუმს სტუმრობდნენ და იქაური რაგბის კერა მოინახულეს. ვიზიტის მიზანი აჭარაში რაგბის კიდევ უფრო განვითარებაა. მიშელ იაშვილის დახმარებით რაგბის კავშირს 16-წლამდელთა, იუნიორთა და ჭაბუკთა ნაკრებებისთვის ბაზების აშენება განუზრახავს, რის გაკეთებასაც ბათუმში აპირებს, რაკი იქაურებს ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვამთ. სამომავლოდ მოსამზადებელი ბაზები თბილისსა და ქუთაისშიც გაჩნდება. გარდა ამისა, მიშელ იაშვილს საქართველოში სარაგბო სკოლის დაარსება სურს და საამისო ალაგად სწორედ ბათუმი შეურჩევია.

მომავალი თაობის აღზრდა ერთობ საშური საქმეა, მაგრამ ბათუმური ვოიაჟი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა. ცნობილია, რომ ბათუმის „დათვები" ზაფხულში გასამართ ევროპის რეგიონთა თასზე ითამაშებენ. ჰოდა, მიშელ იაშვილიც აჭარული კლუბის კურატორი იქნება FIRA-AER-ში (ევროპაში რაგბის განვითარების ასოციაცია).

**ბაჩო სვანიძე**



გია ჭუმბურიძე და მიშელ იაშვილი



# ხანუჩის არია რედკლიფის სოლოთი

## არაბმა ლეგენდას გადაურბინა

**ლონდონის** ყვავილების მარათონი წლეულს აღრინდელებზე დიდი შოუ გამოდგა. ირბინეს ბლომად ვარსკვლავებმა და ციდან ვარსკვლავები კრიფეს. ვგულისხმობთ ვაჟთა მსოფლიოს რეკორდის დამხობას და ერთი ბრიტანელი დიაცის მიერ მარათონის ძირითადი პრინციპების გაბითურებას.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ კვირას ალბიონი სრულებით არ იყო ნისლიანი, მზე კბენის გარეშე ანათებდა და 32 ათასი კაცი პირველ კილომეტრებზე მაინც ენერგიულად მოედო ლონდონის ისტორიულ ქუჩებს. როცა სუსტებმა ქშენა დაიწყეს და ათობით და ასობით გამოეთიშნენ რბოლას, ნამდვილი მარათონი მაშინ დაიწყო: ელიტამ სიჩქარეს უმატა და პროცესში ტვინებიც ჩაირთო — ტაქტიკა, ხრიკები და ასე შემდეგ.

ფავორიტი იყო ექვსი: სირბილის ცოცხალი ლეგენდა ეთიოპიიდან ჰაილე გებრესილასიე, წლების მანძილზე სტაიერულ დისტანციებზე მისი ჩრდილი, მაგრამ მსოფლიოს კროსის ხუთგზის ჩემპიონი, კენიელი პოლ ტერგატი, გაამერიკელებული მაროკოელი, მსოფლიოს რეკორდსმენი ხალიდ ხანუჩი, ნამდვილი მაროკოელი, აბდელკადერ ელ მუაზიზი, ვინც ლონდონში შარშან გაიმარჯვა და ბოლოს ერთადერთი ევროპელი ამ აფრიკულ კონგლომერატში, ვეტერანი ანტონიო პინტუ პორტუგალიიდან, ვისი ტრიუმფიც ლონდონში შარშანწინ შედგა.

3 მილიონი დოლარიდან მოზრდილი წილის დათრევის პერსპექტივა მემარათონეებს დამატებით ძალას ჰმატებდა. გებრესილასიემ „კურდღლები" წაიმძღვარა და ტემპს უმატა, თუმც ერთი ფავორიტიც ვერ მოიშორა. ელიტარული ჯგუფი 35-ე კილომეტრზეც ბარე 10 კაცს ითვლიდა და მხოლოდ შემდეგ ჩამორჩნენ ბრიტანელი მარკ სტინლი, პინტუ, ეთიოპი ტესფაიე ჯიფარი და ევროპის ჩემპიონი სტეფანო ბალდინი იტალიიდან.

დედოფალ ვიქტორიას სანაპიროზე ელ მუაზიზიც ოდნავ მოეშვა და როცა „ბიგ ბენმა" მარათონის დაწყებიდან 2 საათის გასვლისა შემოჰკრა, პირველობისთვის ბრძოლას გებრესილასიე, ხანუჩი და ტერგატი შემორჩნენ. ეთიოპმა სცადა თავის საფირმო გარღვევა, რომლითაც 10 კილომეტრზე სირბილი უთვალავჯერ მოუგია, მაგრამ 42 კილომეტრი და 195 მეტრი სრულიად სხვა რიცხვია და ჰაილეს 5 მეტრიანი უპირატესობა უცებ განიავდა. პატარა ეთიოპს დაღლა შეეტყო, როცა კენიელმა და არაბმა მეორე სუნთქვით გააგრძელეს ჭენაობა და ეს ამბავი ტერგატს იამებოდა: გებრესილასიეს, როგორც იქნა, რალაცაში აჯობა.

ბუკინჰემის სასახლესთან ხანუჩიმ აიწყვიტა და გზის ბოლო მოსახვევთან გატეხა ტერგატის წინააღმდეგობა. მერე პას უყვიროდნენ, რეკორდს ამხობ და მოუჩქარეო, მხეცივით ირბინა და დაუფასდა კიდეც, ვაჟთა მარათონში ახალი სიმაღლე დაფიქსირდა, ძველზე 4 წამით ნაკლები.

პატარა დიდი ჰაილე მესამე იყო, რასაც დებიუტის კვალობაზე სწორედ არაფერი უჭირს და აქ შევნიშნოთ, რომ თუ ვაჟთა პოდიუმი სრულიად აფრიკამ დაიპყრო (ხანუჩიც ნატურალიზებული აფრიკელია), ქალთა რბოლაში შავ კონტინენტს მე-5 ადგილზე უკეთესი არაფერი ელირსა, რადგან კვირას ლონდონში პოლა რედკლიფის ბენეფისი გაიმართა.

ეს მანდილოსანი უკვე შევიდა მძლეოსნობის ისტორიაში და ლონდონის მარათონზეც ერთ გაბატონებულ სტერეოტიპს ურო შემოჰკრა. ითვლება, რომ მარათონი უპირველესად მოთმინების გამოცდაა, მაგრამ რედკლიფმა არ მოითმინა და მოიგო. უკვე მე-18 კილომეტრზე ის და ორი დედალი „კურდღელი" საერთო მასას სოლიდურად გაშორდნენ და ნახევარი გზის შემდეგ რედკლიფი მარტო დარჩა.

„მეშინოდა, ძალა არ გამომლეოდა — გაიხსენა რედკლიფმა — რას იტყოდა ხალხი, ამ წესების ხამ იდიოტს მარათონზე რა უნდოდაო".

უკანა რიგებში ამ დროს სერიოზული ძვრები მოხდა. ეთიოპი დერარტუ ტულუ და კენიელი სუზან ჩეპკემეი რედკლიფს 38 წამის სავალზე მისდევდნენ და კიდევ 35 წამით უკან იყო მოზრდილი ჯგუფი იაპონელი რეიკო ტოსას ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფში რუსები და კენიელები ერივნენ და იაპონელმა რომ მოუჩქარა, ესენიც მიჰყვნენ.

ტოსას თავდადებული სირბილის შედეგად ჯგუფი ტულუ-ჩეპკემეის დუეტს დაეწია და იაპონელმავე გამოიჩინა ინიციატივა რედკლიფის დასაწევად, მაგრამ ამაოდ. ბრიტანელმა ტემპი გასაოცრად შეინარჩუნა და ტაუერის ციხესთან მისმა გარღვევამ თითქმის 3 წუთი შეადგინა. ცხადი გახდა, რომ რედკლიფის სოლო რეიდი ტრიუმფით გვირგვინდებოდა და ასეც მოხდა, ოღონდ მსოფლიოს რეკორდის გარეშე. ტოსას ჯაფა კი მხოლოდ მე-4 ადგილით დაფასდა, მას დასვენებულმა რუსებმა გაუსწრეს.

**დავით გულუა**




ხალიდ ხანუჩიმ ფინიშს ახალი რეკორდით გადაურბინა




გამარჯვებულ პოლა რედკლიფს ოფლი მზრუნველმა მეუღლემ მოწმინდა

**ვაჟები**

1. ხალიდ ხანუჩი (აშშ) 2:05.38 (მსოფლიოს რეკორდი); 2. პოლ ტერგატი (კენია) 2:05.48; 3. ჰაილე გებრესილასიე (ეთიოპია) 2:06.35; 4. აბდელკადერ ელ მუაზიზი (მაროკო) 2:06.52; 5. იან სისტერი (სამხრეთ აფრიკა) 2:07.06

**ქალები**

1. პოლა რედკლიფი (დიდი ბრიტანეთი) 2:18.56; 2. სვეტლანა ზახაროვა (რუსეთი) 2:22.31; 3. ლიუდმილა პეტროვა (რუსეთი) 2:22,33; 4. რეიკო ტოსა (იაპონია) 2:22.46; 5. სუზან ჩეპკემეი (კენია) 2:23.19

# 2005: მსოფლიო ფინეთში ირბენს

**კენიის** დედაქალაქ ნაირობიში მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო კონფედერაციის (იააფ) საბჭო ფრიად მნიშვნელოვანი საქმისთვის შეიკრიბა: 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს ირჩევდნენ.

საჭირო გახდა ექვსი რაუნდი, რომ მასპინძლად ჰელსინკი დაესახელებინათ. ფინეთის დედაქალაქმა ბრიუსელს, მოსკოვს, რომს, ბერლინს და ბუდაპეშტს აჯობა.

იააფის პრეზიდენტი, სენეგალელი ლამინ დიაკი კმაყოფილი ჩანდა.

„ჩვენთვის იოლი როდი იყო არჩევანის გაკეთება — თქვა მაღალმა პერსონამ — თქვენც ნახეთ, 40 წუთი მოვანდომეთ და დარწმუნებული ვარ, არჩევანში არ შევმცდარვართ. ჰელსინკში ხავსე სტადიონის იმედი გვაქვს, რადგან მძლეოსნობა ფინეთში ნომერ პირველი სპორტია (აქ ბატონი დიაკი რამდენადმე უნდა აჭარბებდეს). ფინეთის ტელევიზია გადასცემს ყველა ოლიმპიური თამაშების სამძლეოსნო პროგრამებს 1988 წლიდან მოყოლებული. იქ ჩინებული სოფელია ათლეტებისთვის, არ არის ტრანსპორტის და სხვა პრობლემები".

ფინელთა დელეგაციის ლიდერმა ჰარი, ჰოლკერიმ მძლეოსნობის მამებს, არჩევანში გენაცვალეთო.

„გაიხსენეთ — განაცხადა მან — ჰელსინკიმ უმასპინძლა იააფ-ის პირველ მსოფლიოს ჩემპიონატს (1983 წელს), ამიტომ მსგავსი ღონისძიებების გამართვა ნამდვილად არ გვესწავლება. ჩვენ ვიცოდით და ჩვენმა ბიჭობამ".

**დავით გულუა**



# მიხაელ განმანათლებელი

## შუმახერი იუნესკომ აღიარა




მიხაელ შუმახერი

**პარიზი**, თუკი ბუნებამ მოგმადლა რალაცის გამორჩეულად კეთების, მაგალითად, ფორმულა 1-ის სპეცავტოთი სხვაზე მარჯვედ და სწრაფად ჯირითის უნარი. მაშინ ბევრი რამ, თუნდაც სიკეთის კეთებაც იოლია და ხალხისგან დაფასებაც მშვენივრად ჩანს.

მსოფლიოს ყველაზე დიდხელფასსა და ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა სპორტსმენმა, ფორმულა ერთის სუპერმძღოლმა მიხაელ შუმახერმა კვირას სან მარინოში მორიგი დიდი პრიზი მოიგო, ერთი დღის შემდეგ კი იუნესკომ გერმანელი წლის ყველაზე გამორჩეულ სპორტსმენად აღიარა და სპეციალური პრიზიც გადასცა, ცხადია, არა სპორტული ხეწარმატებებისათვის. შუმახერს ალალი და გულუხვი ქველმოქმედება დაუფასდა. მიხაელი იმისთვის დაჯილდოვდა, რომ თავისი სპორტული ხელობის ჟამს ვეება ფულადი მონაგარი მთლიანად საკუთარ საბანკო ანგარიშზე არ გადამალა და ზორბა წილი იუნესკოს მიაშველა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სკოლა-სასწავლებელთა მშენებლობისთვის.

„მიხაელი მისაბაძი პიროვნებაა ახალგაზრდა სპორტსმენთათვის და საერთოდ ადამიანთათვის" — ბრძანა იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა კოიშირო მაცურამ, ხოლო თავად შუმახერმა მადლობასთან ერთად თქვა, ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული განათლებით და განსაკუთრებით ამ სფეროში არსებული პრობლემებით.

აღსანიშნავია, რომ შუმახერს წლის ყველაზე გამორჩეული სპორტსმენის პრიზში ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი ძიუდოისტი დევიდ დუიე შეეზიარა, სწორედ ის დუიე, რომელიც ამ პრიზს შარშან ფლობდა.

# პატარა უფლისწული

## რაც სოჭში ჩადის, ბეზიეში ამოდის

მონტე კარლო. თიხნარი
საპრიზო 2,95 მილიონი $

**პირველი წრე**

**მარკუს ჰიპფლი** (ავსტრია) — ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი) 6:1, 6:2; **ტომას იოჰანსონი** (8, შვედეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 2:6, 7:6 (7:4), 6:1; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:6 (7:5), 3:6, 7:5; **ანდრეა გაუდენცი** (იტალია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 5:7, 6:2, 6:3; **ანდრეი პავილი** (რუმინეთი) — კრისტიან პლესი (დანია) 3:6, 6:3, 6:1; **ნიკოლა კუტილო** (საფრანგეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 2:6, 6:3; **ფელის მანტია** (ესპანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:1; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 7:6 (7:1), 6:2; **ირჟი ნოვაკი** (11, ჩეხეთი) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:4, 4:6, 6:4; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (16, ეკვადორი) 7:6 (8:6), 6:2; **ალბერტო კოსტა** (ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 6:4; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 1:6, 6:3, 6:4; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3, 6:3; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — ალბერტო მონტანესი (ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ტომას ენქვისტი (14, შვედეთი) 6:1, 6:1

მონტეკარლოური დიდბობოლა ტურნირის პირველი დღე ორი გამორჩეული ამბით აღინიშნა. პირველი იმით, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ორგზის მესლემტიტულემ და ოდესღაც მსოფლიოს პირველმა მეჩოგნე ევგენი კაფელნიკოვმა კვლავაც მისი რანგისა თუ ნიჭის შეუფერებლად იბურთავა და იქაური კორტი ისევ შერცხვენილმა დატოვა. ხოლო მეორეც იმით, რომ მთავარტურნირზე კვალიფიკაციებში ბულრაობის შემდეგ მოხვედრილმა 15 წლის ფრანგმა ბიჭუნამ, რიშარ გასკემ გამოცდილ არგენტინელ ფრანკო სკილარისთან სამსეტიან დაგა-დუგს შეუმდრკალად გაუძლო და კარიერის პირველი „საუფროსო" გამარჯვებაც დასტურ მიითვალა.

მესამე ნომრად განთესილმა კაფელნიკოვმა, ვინაც მონტე კარლოში უკვე რვა წელია, მესამე წრეს ვერ გაცილებია, შარშანდელის დარად ისევ პირველ წრეში და ისევ მსოფლიოში 84-ე მარკუს ჰიპფლთან წააგო. წლეულს მისი წინა გამოსვლებისა არ იყოს, რუსი ამ მატჩშიც უჯიგროდ და უმულამოდ ირჯებოდა და ავსტრიელს პირველი ჩაწოდებიდან მხოლოდ 62-ე წუთის თავზე დანებდა.

თუკი კაფელნიკოვის ჭკნობადი თამაშის ცქერა ქომაგში ჩამავალი მზის ასოციაცებს უფრო იწვევდა, ნინველა ფრანგის, რიშარ გასკეს შუშპარა და მისი ასაკისთვის შეუფერებლად ბრძნული ჩოგნაობა ფრანგებმა ახალი ვარსკვლავის დაბადებად აღიქვეს.

ბეზიეელმა ბიჭმა, რომელიც როლან გაროსში, განთქმული მეტრის, ერიკ ვინოგრადოვსკის მიერ იწრთობა, მსოფლიოში ერთხანს მე-11 საფეხურზე მდგომი და ერთხელ საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალში ნათამაშები არგენტინელი 2 საათსა და 26 წუთში დაამარცხა.

ამ გამარჯვებამ ბიჭს 7 900 დოლარი მოუტანა, ანუ თითქმის 30-ჯერ მეტი იმაზე, რაც აქამდე მოეპოვებინა. სანამ მონტე კარლოში ჩავიდოდა, გასკეს საჩოგბურთო მონაგარი მხოლოდ 290 დოლარს შეადგენდა...

ტურნირზე მონაწილეობის უფლება კი მან უქმეებზე რუსი ნიკოლაი დავიდენკოსა და რუმინელი ადრიან ვოინეას ძლევის შემდეგ მიიღო. ეს უკანასკნელნი, ალბათ შეხსენება საჭირო არ არის, საკმაოდ გამოცდილი ბიჭები გახლავან.

აქ რომ ჩამოვდიოდი, ერთ გამარჯვებაზეც არ მიოცნებია, ხოლო სამ მოგებას ხომ საერთოდაც ვერ წარმოვიდგენდიო, იძახდა გასკე.



ფრანგული ჩოგბურთის პატარა უფლისწული — რიშარ გასკე

სხვაფრივ — თვისტომ მაგნუს ნორმანს აჯობა და მავნე სამონტეკარლოო ნავსი გაიტეხა წლევანდელმა მეავსტრალიე ტომას იოჰანსონმა, ვინაც ტურნირზე წინა ხუთი გამოსვლისას ხუთჯერვე პირველ სეტში ჩაფლავდა. შარშან ბარძაყნაოპერაციევ და მოკეთების შემდეგ მხოლოდ ერთი შეხვედრის მომგებ ნორმანთან შეხლისას იოჰანსონს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, მერე კი ნელ-ნელა სადავეები უკუიპყრა და მატჩის დაწყებიდან 2 საათისა და 34 წუთის შემდეგ სამეორეწრეო საშვიც მიითვალა.

მეორე წრიდან ჩაერთვებიან საქმეში პირველ-მეორე ნომრებად განთესილები — ლეიტონ ჰიუიტი და ხუან კარლოს ფერერო.

და კიდევ — ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ანდრე აგასიმ და პიტ სამპრასმა. პირველმა მიზეზად „სათანადოდ მოუმზადებლობა" დაასახელა, მეორეს კი თავისი უარი არაფრით არ დაუსაბუთებია, უბრალოდ, არ მინდაო და, მორჩა.

ჩარლსტონი. თიხნარი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**პირველი წრე**

**ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ლაიზა რეიმონდი (14, აშშ) 2:6, 6:2, 6:3; **მეილინ ტუ** (აშშ) — ტატიანა პანოვა (15, რუსეთი) 6:3, 6:4; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:2, 6:0; **ემი ფრეზიერი** (აშშ) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:4, 6:2; **ივა მაიოლი** (ხორვატია) — ვიანკა ლამადე (გერმანია) 7:5, 6:3; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:2, 6:3; **ალიძსანდრა ფუზაი** (საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:4, 6:1; **მარიზაიანე მიძაელიანი** (შვეიცარია) — ფრანჩესკა სკიავონე (17, იტალია) 6:3, 3:6, 7:5; **მარტა მარერო** (ესპანეთი) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:1, 6:1; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 6:3, 6:2; **ჯენიფერ ჰოპკინსი** (აშშ) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 6:7 (1:7), 6:2, 6:1; **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 4:6, 6:4, 6:0; **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) — გრეტა არნი (გერმანია) 6:2, 6:0

ჩარლსტონში თავმოყრილ ქალებს ჯერ ხეირიანად ჩოგნებიც არ გაექნიათ, რომ სამ განთესილს უკვე კორტიდან ტრიბუნაზე აბარგება მოუხდა. მსოფლიოში რანგით 32-ე ნატალი დეშიმ მე-14 ნომრად განთესილი ლაიზა რეიმონდი აოტა, ხოლო 61-ე და 64-ე ჩოგნის მჭნეველებმა მეილენ ტუმ და მარი-გაიანე მიქაელიანმა, შესაბამისად, მე-15 და მე-17 განთესილები — ტატიანა პანოვა და ფრანჩესკა სკიავონე დაიფერინეს.

გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით ნაამები ვინძლო, მეილენ ტუ დარჩენილიყო, რადგან შარშან იქაურ თიხნარსაფარზე სწორედ რუს პანოვასთან წაეგო. წლეულს გასხვავებული სტრატეგიით ვითამაშე, მივეძალე და რამეო, ამბობდა მერე მეილენი, ამიტომაც იყო, პირითხაზიდან ზურგითხაზამდე რომ არ ვახათქუნებინე და, ჯამში, არ დავეჩაგვრინეო.

ისე კი, მსუყე-მსუყე გოგონები თამაშს მეორე წრიდან დაიწყებენ და მოსათხრობიც მაშინ უფრო მეტი გვექნება. სხვა თუ არავინ, ჩარლსტონში ჯენიფერ კაპრიატი, მონიკა სელეში, სერენა უილიამსი, ელენა დოკიჩი, ამელი მორესმო, სანდრინ ტესტიუ და მეგენ შონესიც იჩოგნავებენ.

რაც შეეხება ჟუსტინ ენენს, ამელია აილენდში ვინუს უილიამსთან ძლევისას მას ზედაბარძაყის ტრავმა მიუღია და სანამ იმას სათუთად გამოაზელინებდეს, მანამ ჩოგნის ხელში აღება აუკრძალიათ.

**ლევან ბილაუშაძე**



ევგენი კაფელნიკოვი ჩოგანს უკვე უჭიგროდ იქნევს



ნჰლ-ის 85-ე რეგულარული ჩემპიონატი კვირას ისტორიას ჩაბარდა. სათასო შეხვედრები 17 აპრილს იწყება. მანამდე კი მოდით, ის მნიშვნელოვანი მოვლენები გავიხსენოთ, რომლითაც 2001-02 წლების სეზონი გამოირჩა.

# ყველაფერს ფულით ვერ იყიდი

## ყინულზე მასტერყვანჯი არსებობს

### ბებერი ტრაქტორი

ლიგამ ისტორიაში მეორედ გარისკა, მრავალმილიონიან ზარალს არ მოერიდა და 12 დღით შეაჩერა პირველობა, რათა ოლიმპიადაზე წამყვან ქვეყნებს საუკეთესო შემადგენლობით ეთამაშათ. ფულადი ზარალის სამაგიეროდ ნჰლ-მ სხვა მხრივ მოიგო. წამყვანმა ჰოკეისტებმა დაამშვენეს ოლიმპიადა. თანაც, სხვა სახეობებისგან განსხვავებით, დიდი სკანდალები არ ყოფილა. ფინალიც წმინდა ჩრდილოამერიკული გამოვიდა, რამაც კიდევ უფრო აამაღლა ტურნირის რეიტინგი. საყოველთაო შთაგონებისა და ემოციების ფონზე „ბებერმა ტრაქტორმა" მარიო ლემიემაც კი უდიდესი ჰოკეი აჩვენა, კარიერის მიწურულს თავადაც აიხდინა ნატვრა და მისმა ქვეყანამაც — ოლიმპიური ოქრო კანადამ მოიპოვა.



ჯერომ იგინლა

### ამოდის, ნათდება

ნჰლ-ის ცაზე ახალი კანადური ვარსკვლავები აკაშკაშდნენ. ევროპელთა მრავალწლიანი ბატონობის შემდეგ, რაც გრეცკი-ლემიეს ერას მოჰყვა, ბომბარდირთა დავა კანადელმა პირველად მოიგო, მით უმეტეს, რომ იგი ახალი თაობის წარმომადგენელია. 24 წლის ჯეროომ იგინლა წლიდან წლამდე უმატებდა, წლეულს უდიდესი ნაბიჯი გადადგა და ელვისებურად შეიჭრა ელიტაში. იგი უკვე დღეუდლაორ პრიზს, საუკეთესო ბომბარდირისას და საუკეთესო მეგოლისას (52 შაიბა გაიტანა) და არ არის გამორიცხული, ლიგის MVP-ც გახდეს. და ეს მაშინ, როცა მისი კალგარი, პლეი ოფში ვერ გავიდა.

ჟოზე თეოდორმა საკუ კოივუს გარეშე მოთამაშე მონრეალი მთელი სეზონის განმავლობაში ყურებით ათრია და როგორც იქნა, პლეი ოფში შეათრია. თეოდორმაც, იგინლას დარად, სწორედ ამ სეზონში გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი და მთელ მონრეალს გაახსენა, რომ დიდ ქალაქს ყოველთვის დიდი მეკარეები ჰყავდა.

### „კონკიას" ნჰლ-ური ვარიანტი

ფული რომ ყველაფერს არ ნიშნავს, ეს ფინიქსმა წლეულს ერთხელაც დაადასტურა. განა საოცარი არ არის, გუნდმა 20 პროცენტით შეამცირა ბიუჯეტი, პრაქტიკულად ყველა ვარსკვლავი დაკარგა, მაგრამ პლეი ოფში გასვლა მაინც შეძლო. უეინ გრეცკის „კონკია" ერთობ ორგანიზებული და მართვადი გუნდი გამოდგა და თავისი ჯიგრიანი თამაშით არა მარტო მშობლიურ ქალაქელთა, არამედ გარეშე ქომაგთა გულებიც დაიპყრო.

### ქარს გატანებული მილიონები

ზემოთქმულის დასტური განა „რეინჯერსის" მდგომარეობაც არ არის? მისმა მესვეურებმა ამჯერად 75 მილიონი დოლარი გაატანეს ქარს და კვლავ პლეი ოფს მიღმა დარჩნენ. ამას გუნდის თავკაცი რონ ლოუ შეეწირა — ჩემპიონატი დასრულდა თუ არა, მეორე დღესვე გაათავისუფლეს.

### ბურე გადაბარგდა

მაგრამ წლევანდელ „რეინჯერსს" ნათელი დღეებიც ჰქონდა. კლუბმა დედლაინზე ერთობ ხმაურიანი ტრეიდი განახორციელა და არცთუ ძვირად იგდო ხელთ პაველ ბურე. ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილი მატჩები „რუსულმა რაკეტამ" დიდებულად ჩაატარა (საშუალოდ მატჩში ერთ გოლზე მეტი) და „რეინჯერსის" ქომაგებს მომავლის იმედი ჩაუსახა.

### ტრაგედია და სასწაული

დიდხანს გვემახსოვრება კოლუმბუსში დატრიალებული ტრაგედია და შაიბის მსხვერპლი ბრიტანი სესილი, მაგრამ იყო სასიხარულო მომენტებიც. წლეულს ხომ რამდენიმე მოთამაშის ფერფლიდან აღდგომას შევესწარით. ჩინებულად ჩაატარეს ჩემპიონატი შვიდჯერ ტვინის შერყევის გადამტანმა და თითქოს ჩამოწერილმა ერიკ ლინდროსმა, საკონტრაქტო პრობლემების გამო ლამის ფარმკლუბში გადაკარგულმა ნიკოლაი ხაბიბულინმა და, რაც მთავარია, სიკვდილს გადარჩენილმა საკუ კოივუმ, რომელიც გმირულად შეებრძოლა სიმსივნეს, დაამარცხა და ყინულს დაბრუნდა.

**სამველ ლარიბიანი**

**ბომბარდირები:** იგინლა (კალგარი) 96(52+44), ნესლუნდი (ვანკუვერი) 90(40+50), ბერტუცი (ვანკუვერი) 84(36+48), სუნდინი (ტორონტო) 80(41+39), საკიკი (კოლორადო) 79(26+53), იაგრი (ვაშინგტონი) 79(31+48), დემიტრა (სენტ ლუისი) 78(35+43), ოუთსი (ფილადელფია) 78(14+64), მოდანო (დალასი) 77(34+43), ფრენსისი (კაროლინა) 77(27+50), კოვალიოვი (პიტსბურგი) 76(32+44), ტკაჩუკი (სენტ ლუისი) 75(38+37), შენაპანი (დეტროიტი) 75(37+38), იაშინი (აილენდერსი) 75(32+43), კონროი (კალგარი) 75(27+48), ელისონი (ლოს ანჯელესი) 74(19+55), შატანი (ბუფალო) 73(37+36), ლინდროსი (რეინჯერსი) 73(37+36)

**ახალბედები:** ჰიტლი (ატლანტა) 67(26+41), კოვალჩუკი (ატლანტა) 51(29+22), ჰუსელიუსი (ფლორიდა) 45(23+22), კოული (კაროლინა) 40(16+24), დაციუკი (დეტროიტი) 35(11+24), ერატი (ნეშვილი) 33(9+24), ვრბატა (კოლორადო) 30(18+12)

**მეკარეები** (დარტყმების მოგერიება): თეოდორი (მონრეალი) 93,1+, რუა (კოლორადო) 92,5+, ჩეხმანეკი (ფილადელფია) 92,1+, ხაბიბულინი (ტამპა), ბურკი (ფინიქსი), ჟიგერი (ანაჰაიმი) 92,0+

## კვირის მოთამაშე

### დარსი ტაკერი (ტორონტო)



დარსი ტაკერი ბომბარდირთა შორის არასდროს ყოფილა. ბრძოლის ჟინით ანთებულ მოთამაშეს მწვრთნელები სხვა ფუნქციებს აკისრებდნენ. მისი მოვალეობა იყო, მეტოქის ლიდერებისთვის მაქსიმალურად შეეშალა ხელი და საჭირო მომენტში მათ გაღიზიანებასა და პროვოცირებასაც არ მორიდებოდა. თუმცა პირველობის მიწურულს, როცა „ტორონტოს" პლეი ოფი დაიბევა, მოთამაშეებმა შვებით ამოისუნთქეს და... აღმოჩნდა, რომ ტაკერს გოლების გატანაც ეხერხება და პარტნიორების პასებით მომარაგებაც. ფორვარდმა ოთხ თამაშში 9(4+5) ქულა მიითვალა. ასეთი შედეგი დარსის ზოგჯერ მთელი თვის განმავლობაში არ ჰქონია. განსაკუთრებული კი „რეინჯერსთან" (7:2) შეხვედრა გამოდგა, სადაც მან დუბლი შეასრულა.

**საუკეთესო ეძვსეული. 8-14 აპრილი**

*ბრენტ ჯონსონი (სენტ ლუისი, 2); სკოტ ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი, 1) — კრის პრონგერი (სენტ ლუისი, 3); დარსი ტაკერი (ტორონტო, 1) — მატს სუნდინი (ტორონტო, 1) — მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი, 2)*



REUTERS

# მეექვსე

ცოტაც და, დაიძრება გარსაქვეყნო ნაოსნობის მონაწილე ქალთა იახტა „ამერ სპორტ ტუ". ნავი მაიამიდან იწყებს შეჯიბრის მეექვსე ეტაპს, რომელიც 875 საზღვაო მილის სიგრძისაა და ბოლო წერტილად ბალტიმორი აქვს. სულ კი გარსაქვეყნო რეისი 32,700 საზღვაო მილია და ინგლისურ საუთჰემპტონში დაწყებული, გერმანულ კაილში უნდა დასრულდეს.

# შუმი ვერ დაანგრევსო

გოიფპალენი პატარა შვეიცარიული სოფელია, სადაც დამკვიდრება გადაუწყვეტია მიხაელ შუმახერს და ამ მიზნით ძველი ფერმა შეუსყიდია. დიდ მეფორმულეს ამ ძველი სახლის დანგრევა და თავისი ოცნების სასახლის აშენება ამოუჭრია გულში და წყნარი გოლფპალენიც აზმაურებულა და ორად გაყოფილა. საქმე ისაა, რომ იქაური კანონი კრძალავს ბუნების სურათის თანამედროვე ნაგებობებით დამახინჯებას. ამიტომ ნახევარი სოფელი შუმახერის საწინააღმდეგო ლოზუნგებით გამოსულა, მეორე ნახევარს კი იქვე აუფრიალებია „ფერარის" დროშები, სოფელში დიდი კაცი მკვიდრდება და რას ატყდითო. თბილისში შუმი სულ იოლად გადაწყვეტდა ნგრევა-შენების საკითხს, შვეიცარიულ სოფელში კი ნურას უკაცრავად.


REUTERS

# შემოდის მუსაშიმარუ

სუმოს დიდი იოკოძუნა მუსაშიმარუ საჭიდაოზე შესვლის რიტუალს ატარებს. ასეა ხოლმე ყოველი ბაშოს, დიდი შეჯიბრის წინ — გამოვა დიდი ჩემპიონი და სულებს ებაასება.


REUTERS


REUTERS

# კიდევ ერთხელ

კვებეკის ქალაქ ჰალიდან ნაცნობი ფოტო მოდის: კანადის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს თავის ოლიმპიელებს. ამჯერად, ფიგურული სრიალის ჩემპიონებს, ჯემი სალესა და დავიდ პელეტიეს. სულ კი კანადამ მისთვის სარეკორდო 17 ოქრო მოიპოვა ზამთრის ოლიმპიადაზე.

# ვუდსიანთ ოჯახი

ტაიგერ ვუდსი ხალისით ირგებს საცერემონიო მწვანე პიჯაკს, რომელსაც ოგასტას გოლფის ტურნირის გამარჯვებულს გადასცემენ ხოლმე. დაჯილდოებას ამაყად ადევნებს თვალს სავარძლებში ჩაბრძანებული ვუდსიანთ ოჯახი, მამა ერლი, დედილო კულტილდა და ტაიგერის თეთრყირმიზა საცოლე ელენ ნორლერგრენი. ვუდსმა კარიერაში მესამედ მოიგო მასტერსის ტიტული, სულ კი შვიდი მეიჯორ-შეჯიბრი მოუგია.


REUTERS




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოუხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge